# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 34 შაბათი, 14 თებერვალი 1909 წ. № 34

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზისას 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს აქვს

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოდის კვირაში ერთხელ—კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**თვიური ფასები ტფილისსა და ტფილისს გარეთისა:**

12 თვით—8.50, 11 თვით—8.10, 10 თვით—7.60, 9 თვით—7.10, 8 თვით—6.50, 7 თვით—5.80, 6 თვით—5.10, 5 თვით—4.40, 4 თვით—3.70, 3 თვით—3 მ., 2 თვით—2 მ., 1 თვით—1 მ.

**ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:**

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში შეპურე მელიტონ დოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მშველიძესთან; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალინიძესთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

---

**დავით გრიგორის ძე ჩიკვაიძე, გრიშა, ელენე, თამარ ჩიკვაიძენი, ანნა კვიტაშვილისა, ასლან, სიმონ და ვიქტორ კვიტაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ მეუღლის, მეორენი—საყვარელ დედის, მესამე—საყვარელ შვილის და მეოთხენი—ძვირფას დის

### ეკატერინე მერაბის ასულის ჩიკვაიძისას.

ცხედრის გამოსვენება ანჩხატის ტაძრიდან შაბათს, 14 თებერვალს, დაკრძალული იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. წირვა დაიწყება 10 ს. (1—92—1)

---

**თეკლე ალექსანდრეს ასული და ლევან სოლომონის ძე უზნაძეები** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მაზლის, მეორე—საყვარელ ძმის

### ილია სოლომონის ძის უზნაძისას.

ცხედარს გაასვენებენ საკუთარ სახლიდან, ვერა, ვარდისუბნის ქუჩ., ნათლის მცემლის ეკლესიაში. კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 საათზედ. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—91—1)

---

**ეფემია ბეჟანის ასული ბროძელისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 თებერვალს, 11 საათზე, ანჩხატის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქალაქ გრაევოში (ლომჟის გუბერნიაში) გარდაცვალებულის საყვარელ დის

### კნ. ბარბარე ბეჟანის ასულის თარხან-მოურავის

სულის მოსახსენებლად. (1—90—1)

---

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მელიქიანისა. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—7)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—61)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—94)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი,** მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. ქალთა და ბავშვთა ავადმყოფთანი. სპეციალური ექიმია: საშვილოსნოსა და კუჭის ავადმყოფთანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—7)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუსატი, საშარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—58)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბეჟუაშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 95)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.: ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—38—17)

გეომეტრი და მარკშაიდერი

**გ. ს. ასათიანი**

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—ნ.—81)


## ტფილისი, 14 თებერვალი

მთელი ქართველი საზოგადოება აღშფოთებულია იმ შემაძრწუნებელის დევნით, რომელსაც ამ ჟამად განიცდიან საქართველოს ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელნი. ამბროსის გაძევებას მოჰყვა კირიონ ეპისკოპოსის სასტიკი გადასახლება და ეპ. ლეონიდის გაჩხრეკა. ახლა გაზეთები იტყობინებიან მათ დატუსაღების განზრახვაზე, ხმაა მღვდლების დაპატიმრებაზე და სხვა. ყოველ დღე ახალ-ახალი დაცინვა დამცირებულის, დარბეულის და დატანჯულის ერისა.

რა ამბავია, რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი დევნა-დამცირება, ასეთი სისასტიკე, რომლის მსგავსი ქართველთა ეკლესიას ძველ დროშიაც-კი არ განუცდია? რამ გააჯავრა ესოდენ მართლმადიდებელი მმართველობა, რომელიც ეპისკოპოზებსაც, მოხუცებულ, ავადმყოფ, დასჯილ და დამცირებულ ეპისკოპოზებსაც კი აღარ ინდობს? ვიღაც სინოდის წარმომადგენელს უთქვამს, ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის გამოძიებამ აღმოაჩინა რაღაცეებიო, პურიშკევიჩმა საპარლამენტო ტრიბუნიდან პირდაპირ ბრალი დასდო ეპ. კირიონს. აი, სადამდის მიდის სასულიერო მთავრობის გაბოროტება! არაფერს არა ზოგვენ, არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ გასრისონ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლნი, რომელთა მთელი დანაშაული ის არის, რომ ხმა (ხმა და არა მახვილი) ამოიღეს სამშობლო ეკლესიის უფლების დასაცველად. განა ჩვენ არ გვესმის, რომ სტყუიან ამ საქმის ჩამდენნი, რომ მათაც კარგად იციან მთელი უაზრობა, პირდაპირი სიყალბე თავიანთ ბრალდებისა? იციან, ესმისთ, მაგრამ ისიც იციან, რომ ამ ბნელ დროში, ამ საარაკოდ ბნელსა და უკუღმართ დროში ყველაფერი გაუვათ, ყველაფრის სისრულეში მოყვანა შეუძლიანთ. ეხლა მათი დროა, თუ ეხლა არა, როდისღა შესძლებენ ჰკრებითა და ინტრიგებით იმათ დაღუპვას, ვისაც არავითარი ბრალი არ მიუძღვის?!

ისეთ ბნელ დროში, როცა ვოსტორგოვი ბატონობს, როცა ვოსტორგოვის დირექტივებს ემორჩილება უმაღლესი სასულიერო დაწესებულება, რას არ უნდა მოელოდეს ადამიანი? მთელმა რუსეთმა იცის, რაც არის ვოსტორგოვი. მისი სინიდისი დატვირთულია სისხლის სამართლის ბოროტ-მოქმედებებით. რამდენისამე წლის წინად გაზეთებში „მე-XX საუკუნე“ და „ბირჟ. ვედომ.“-ში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ მას მონაწილეობა უდევს ვინმე გოფმანის ცოლის მოკვლაში. შემდეგ, გაზეთ „პრავოსლ. მირ.“-ში დაწვრილებით იყო მისი უზნეო გავლენა მოზარდ თაობაზე ტფილისის ქალთა გიმნაზიაში, სადაც ახალგაზდა ქალი მიხაილოვა იძულებული გახადა თავი მოეკლა. სისხლით შეღებილი ხელები „მამა“ ვოსტორგოვმა შემდეგ სვანეთის ეკლესიების სიმდიდრეში დააფათურა; მოიპარა ძვირფასი მანუსკრიპტები და დიდ ფულში ბრიტანიის მუზეუმს მიჰყიდა. ყველა ეს და სხვა ბოროტებანი ცნობილმა ნ. ნ. დურნოვომ და ბ-მა ბოლქვაძემ გამოამჟღავნეს პრესსაში და მოსთხოვეს ვოსტორგოვს—სამართალში მიგვეცი, თუ ეს ამბები ტყუილიაო. მაგრამ, ვოსტორგოვს სასამართლოში როგორ შეიტყუებ? იგი სდუმს და, საუბედუროდ, პროკურატურაც სდუმს...

აი, ასეთი, ვაჟბატონი უკარნახებს სათავეში მდგომთ და, გაჟღენთილი ქართველებისადმი უზომო სიძულვილით, სდევნის ჩვენს სამღვდელოებას და სისხლით მორწყავს გვემუქრება... ცნობილი შავრაზმელი ეპისკოპოზი სარატოვისა გერმოგენი „პრავოსლ. ვოსტოკში“ სწერდა 1903 წელს (№ 10): **„ვოსტორგოვს დიდი ნიჭი აქვს არ არსებულის გამოგონებაში** (вымышлять несуществующее); **იგი დაუძინებელი მტერია ქართველებისა და პოლიტიკურ მიზნისათვის საჭიროა იგი დავიფაროთ და დავიახლოვოთო“.** ასეთი ურცხვი სიტყვები ამოდის მწყემსთმთავრის ბაგიდან და იგი არა თუ არ დასჯმეს, პირიქით, ბ-ნ დურნოვოს მოწმობით, მისი სიტყვა დაიჯერეს და ვოსტორგოვი დაიახლოვეს, რათა მან არ არსებული მოიგონოს და ქართველები სდევნოს. მოიგონა კიდევაც! ისეთი რამ მოიგონა, რომ მართლა შეუძლიან გასრისოს უდანაშაულოდ ტანჯულნი...

აღშფოთებული საზოგადოება კითხულობს, რა ვქნათ, როგორ დავიცვათ მოხუცნი წარმომადგენელნი ჩვენის ეკლესიისა და როგორ დავიფაროთ ჩვენი თავი ესოდენ დამცირებისაგანაო? რასაკვირველია, საჭიროა უშიშარი და მხნე პროტესტის განცხადება ყველგან, სადაც კი შეგვიძლიან: სათათბიროში, პრესაში, უმაღლეს წრეებში. გაგვივა რამე თუ არ გაგვივა, ეს სულ ერთია: ჩვენ ჩვენი მოვალეობა უნდა ავასრულოთ და ჩვენთვის დევნილთ ჩვენი თანაგრძნობა გამოვუცხადოთ. რუსეთის ისტორიის ბოროტ გენიოსს სურს აავსოს მოთმინების ფიალა ყველა დამონავებულ ერებისა, მაგრამ ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ თვით რუსის ხალხიც წარმოუდგენელ ტანჯვასა და დამცირებას განიცდის, რომ იგი არაფერს შუაშია ამ ჩვენს აწიოკებაში და ამიტომ ჩვენი პროტესტი მიმართულია არა რუსის ხალხის, წინააღმდეგ არამედ მის დამჩაგვრელთა წინააღმდეგ, რომელნიც თავის გაბოროტებაში ვეღარ ჰხედავენ, რა საშიშარ უფსკრულამდე მიჰყავთ ქვეყანა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**აზეფის საქმე.**

დეპ. პერგამენტის შემდეგ სიტყვა მოითხოვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. ა. სტოლიპინმა. მინისტრ-პრემიერმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დეპეშამ სავსებით გადმოგვცა.

**სტოლიპინი.** ბატონებო, სანამ სათათბირო აზეფის საქმის გამო რაიმეს გადასწყვეტდეს, მე უნდა გაგიზიაროთ ის ცნობები, რომელიც ამ ჟამად მთავრობას მოეპოვება ამ საქმიე შესახებ. შეკითხვა აზეფის საქმის თაობაზე საკმაოდ დასაბუთებულად არ მიმაჩნია. ის, რაზედაც დამყარებულია შეკითხვა, სრულიად ეწინააღმდეგება იმ ცნობებს, რომელიც ამ ჟამად მთავრობას მოეპოვება. შეკითხვაში აღნიშნული ბრალდება პირველად გაისმა და ეხლაც გაისმის უფრო ხმა მაღლა რევოლუციონერთა ბანაკიდან, ამიტომ, მე მგონია, სათათბირო, რაკი მოისმენს ჩემს განცხადებას, დარწმუნდება რომ მთავრობას უკანონობა არ ჩაუდენია და მაშასადამე შეკითხვასაც მეტად ჩასთვლის. თუ აქამდე გაჩუმებული ვიყავ, ეს იმიტომ, რომ მთავრობას ბრალსა სდებდნენ ლითონი სიტყვებით და მე კი მსურდა, რაიმე სერიოზული გამოეთქვათ, რომელზედაც პასუხის გაცემა საჭირო და შესაძლებელი ყოფილიყო. მე მეგონა, ის პირები ან პარტიები, რომელთაც აზეფის შეკითხვა აღძრეს სათათბიროში, მოწადინებულნი იყვნენ ფეხი წამოედოთ მთავრობისათვის და დაეყენებინათ ისეთ პოზიციაზე, რომელიც მთავრობის განცხადებას მისცემდა მოპირდაპირეთათვის ხელსაყრელ და სასურველ ელფერს. ეს პოზიცია, ეს მდგომარეობა მომგერებელ, თავის დამცველ მხარის მდგომარეობაა; ამ მდგომარეობაში მყოფი მთავრობა იძულებული იქნებოდა თავის განმარტებისათვის პოლემიკური ხასიათი მიეცა. მაგრამ აზეფის საქმე მეტად მარტივი რამ არის, მთავრობისათვისაც და სათათბიროსთვისაც ერთად-ერთი ღირსეული და სასარგებლო გზაა,—გულწრფელადა და მიუდგომლად დაათვალიერონ ფაქტები. ამიტომ, ბატონებო, ნუ გეგონებათ, რომ მე ცხარე დამცველ ან საბრალმდებლო სიტყვის წარმოსთქმა მქონდეს აზრად. ასეთი სიტყვა უფრო ბურუსში გაახვევს საქმეს.

მაგრამ სანამ ფაქტების მიუდგომლად აღნუსხვას შევუდგებოდე, მინდა განვმარტო აზრი და მნიშვნელობა ზოგიერთ იმ ტერმინისა, რომელსაც მთავრობა ხმარობს. აქ წინა ორატორების ნალაპარაკევში ხშირად გაისმოდა სიტყვა „პროვოკატორი“ და „პროვოკაცია“; რომ შემდეგში რაიმე უთანხმოება არა იყოს, ეხლავე განვმარტავ, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ამ სიტყვებს. რევოლუციონურ ტერმინოლოგიით, ყველა ვინც მთავრობას ცნობებს აწვდის, პროვოკატორია. რევოლუციონურ წრეებში (ხმაურობა მარცხნივ) ასეთს პირს გამცემსა და მოღალატეს კიარ ეძახიან, არამედ პროვოკატორს. ამ ხერხს შეუგნებლად როდი ხმარობენ; ეს ხერხი რევოლუციისათვის გამოსადეგი და სასარგებლოა: ჯერ-ერთი, თითქმის ყოველი რევოლუციონერი, რომელსაც ბოროტ-მოქმედების ჩადენის გამო შეიპყრობენ ხოლმე, აცხადებს, რომ ვინც მე დამასმინა მთავრობასთან, იგივე მაქეზებდა ამ ბოროტ-მოქმედების ჩასადენადაო; მეორე—პროვოკაცია თავისთავად იმდენად დიდი ბოროტ-მოქმედებაა, რომ რევოლუციისათვის უფრო სასარგებლოა, საზოგადოებრივ აზრის გასაგებად, პროვოკატორი უწოდოს ყველას, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს პოლიციასთან. მთავრობა კი პროვოკატორადა სთვლის ისეთ ადამიანს, რომელიც ბოროტ-მოქმედების ინიციატორად თითონვე გამოდის და ამავე დროს ურევს საქმეში მესამე პირსაც, რომელნიც ბოროტ მოქმედებაში გაერივნენ აგენტ-პროვოკატორის წაქეზებით (ხმები მარცხნივ: „მართალია“). პროვოკატორად არ ჩაითვლება პოლიციის აგენტი, რომელიც რევოლუციონურ ორგანიზაციაში შედის და მთავრობას ცნობას აწვდის. ნამდვილი პროვოკატორია ისეთი აგენტი, რომელიც რევოლუციონურ წრეებში მარტო ნდობის მოსაპოვებლად არ შედის, არამედ პირდაპირა სცდილობს მოახდინოს ისეთი ბოროტ-მოქმედება, რომ სხვებიც ჩაითრიოს. ის კაცი, რომელიც ერთისა და იმავე დროს მთავრობასაც აწვდის ცნობებს და თითონაც აშკარა მონაწილეობას იღებს ბოროტ-მოქმედებაში, სისხლის სამართლის წინაშე დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს. ვიმეორებ პოლიციის ის აგენტი კი, რომელიც არავის არ აქეზებს, არც თვითონ იღებს მონაწილეობას ბოროტ-მოქმედებაში, პროვოკატორად არ ჩაითვლება. ასევე შეუძლებელია პროვოკატორობა დავწამოთ ღრმად გამსჭვალულ რევოლუციონერებს, ტერორისტებს, რომელნიც თვითონაც იღებენ მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში და სხვებსაც ითრევენ ამ აქტებში. განა გასაოცარი არ იქნება, პროვოკატორი უწოდოთ გერშუნის, გოცს, სავინკოვს, კოლიაევს, შვეიცერს? ეგვი არ არის, აზეფს ამ მხრივ აბრალებენ პროვოკაციას და სწამებენ, ვითომ მას მონაწილეობა მიეღოს მრავალ სახელმწიფო დანაშაულობაში. ვინ არის აზეფი? მე არც დავიცავ, არც ბრალს დავდებ მას. იგი ისეთივე თანამშრომელი და დამმარებელია პოლიციისა, როგორიც ბევრი სხვაა. აზეფს რაღაც ზღაპრული თვისებები მიაკერეს. შეკითხვის ავტორებმა იგი, ერთის მხრით, რკინის კაცად, მხნე ადამიანად გამოიყვანეს, ამასთან ისარგებლეს იმ ცნობებით, რომელიც „ნოვოე ვრემია“-ში დაიბეჭდა. „ნოვოე ვრემიას“ შენიშვნას, არ ვიცი რად, ოფიციოზურ ხასიათს აძლევენ. მეორეს მხრივ, აზეფს მრავალ დანაშაულობას აწერენ და ცნობებს ამის შესახებ იღებენ რევოლუციონურ წყაროებიდან. მთავრობა, როგორცა ვთქვი, უნდა დაემყაროს ფაქტიურ მასალას. მან ყურადღება არ უნდა მიაქციოს მითქმა-მოთქმასა და ლაპარაკს, რამაც მთელი ზღაპარი შექმნა აზეფის გარშემო. ამიტომ, ბატონებო, გადავიდეთ ფაქტებზე, თვალი გადავავლოთ აზეფის ცხოვრებას, დეპუტატ პოკროვსკის რჩევისამებრ ავღნუსხოთ აზეფის როგორც რევოლუციონური, ისე პოლიციური კარიერა და ვნახოთ ისიც, თუ რა კავშირი ჰქონდა აზეფს უკანასკნელ დროის თვალ-საჩინო ტერორისტულ აქტებთან.

ყველა იმ მასალის მიხედვით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ჟამად ხელთა აქვს, აზეფი 1892 წელს სცხოვრობდა ეკატერინოსლავში, შემდეგ წავიდა საზღვარ-გარედ, კარლსრუეში, სადაც კურსი გაათავა ინჟინერის ხარისხზე. 1899 წელს იგი მოსკოვში გადმოვიდა და 1901 წლამდე დარჩა. ამის შემდეგ ისევ საზღვარ-გარედ დაბრუნდა და უკანასკნელ დრომდე იქა სცხოვრობდა. მხოლოდ ხანგამოშვებით ბრუნდებოდა რუსეთში, მაგრამ ამაზე შემდეგ მექნება საუბარი. მისი რევოლუციასთან დამოკიდებულება, პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, ასეთი იყო: 1892 წელს, ეკატერინოსლავში ყოფნის დროს, იგი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში იმყოფებოდა. შემდეგ, საზღვარ-გარედ რომ გადავიდა, აზეფი ახლად დაარსებულ რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა კავშირში შევიდა, შემდეგ მოსკოვში მოსკოვის რევოლუციონურ ორგანიზაციაში შევიდა. აქ განამტკიცა მან თავისი მდგომარეობა, დაუახლოვდა ამ ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელს პრგუნოვს. 1902 წელს, პოლიციის ცნობებით, აზეფმა პირველად გაიცნო გერშუნი, გოცი და ვიქტორ ჩერნოვი. ყველა ესენი რევოლუციის სულსა და გულს შეადგენდნენ. პირველი ორი მთავარ როლსა თამაშობდა რევოლუციაში—გოცი, როგორც ინსტრუქტორი, გერშუნი—როგორც ორგანიზატორი ყველანი ტერორისტულ აქტისა. ამ ხანებში აზეფის გავლენა გაფართოვდა, უმთავრესად ამ პირებთან ნაცნობის მეოხებით. ამ ხნის განმავლობაში აზეფმა პოლიციის დეპარტამენტს ძვირფასი ცნობები მიაწოდა.


ტფილისის სახაზინო თეატრი

დღეს, შაბათს, 14 თებერვალს,

მესამე

## ლექცია

## ალექსი ლისოვსკისა

**„ნაციონალურ იდეის გადაჭრა“.**

## ჩეხოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10 საათ.-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6-დან ლექციის გათავებამდე. (1—87—1)

---

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა**

## „კოლხიდაში“

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა ჯიშის **დამყნილ ვაზისა.** საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ჩიკვაძისაგან. (20—ნ.—11)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—ბავ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გთრალევიჩი**—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—9)

1904 წლიდან აზეფი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის საზღვარ-გარეთის კომიტეტში შევიდა. ეს კომიტეტი ის ცენტრალური კომიტეტი არ არის, რომელიც ხელმძღვანელობს რევოლიუციონურ მოძრაობას. 1903 წელს, გერშუნის დაპატიმრების შემდეგ, პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, პარტიის მებრძოლ ორგანიზაციის სათავეში ბორის სევენკოვი იდგა. იმის დაპატიმრების შემდეგ, 1906 წელს აზეფი, როგორც წევრი კომიტეტისა, დაუახლოვდა მებრძოლ ორგანიზაციას და შევიდა ამ ორგანიზაციაში, როგორც კომიტეტის წარმომადგენელი. ამნაირად 1906 წლის მაისიდან, პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, აზეფი ტყობილობდა ყველა განზრახულ ტერორისტულ აქტის გეგმას. აქამდის კი ამისი ცნობები შემთხვევის ხასიათისა იყო. ყველა ეს ცნობა თვით აზეფისა და მაძიებელ პოლიციისაგან არის მოწვდილი, მაგრამ შემოწმებულია და ხელ-მეორედ გამოკვლეული. 1909 წელს, ბრიუსელში, ჩვენს მისიაში ერთი ახალგაზდა კაცი გამოცხადდა და განაცხადა, მე უნდა შემესრულებინა ტერორისტული აქტი, მაგრამ ეხლა მზადა ვარ გულ-ახდილად ვაღვიარო ყველაფერიო. აღმოჩნდა, რომ იმისათვის დაევალებინათ ტერორისტულ აქტის ჩადენა და გაეგზავნათ პარიზში. იქ მოელაპარაკნა ცენტრალურ კომიტეტის წევრებთან—სავენკოვსა და ჩერნოვთან. აზეფი კი ვერ ენახა, აზეფი რომ იმ დროს ცენტრალურ კომიტეტში ყოფილიყო, რასაკვირველია, იმასაც აუცილებლად მოელაპარაკებოდა. ყველა ეს მტკიცდება მაძიებელ პოლიციის ცნობებით. მაძიებელი პოლიცია მოვალეა ცნობები ჰკრიფოს თავის წევრებზედაც შინაური აგენტურის საშუალებით. ასეთსავე ცნობებს იძლეოდნენ პოლიციის სხვა თანამშრომელნიც, თუნდაც, მაგალითად, იგივე ტატაროვი, რომელიც რევოლიუციონერებმა მოჰკლეს.

გავარკვიეთ რა აზეფის როლი რევოლიუციაში, ნება მიბოძეთ, გამოვარკვიოთ მისი როლი პოლიციაში. პოლიციაში თანამშრომლობა მან ჯერ ისევ 1892 წელს დაიწყო. თავდაპირველად ცნობებს პოლიციის დეპარტამენტს აწვდიდა, შემდეგ, როდესაც მოსკოვში ჩავიდა, დამცველ (ოხრანნი) პოლიციის უბროსის განკარგულებაში გადავიდა, მაგრამ ცნობებს აწვდიდა პირდაპირ პოლიციის დეპარტამენტის ცალკე განყოფილების უფროსს რატაევსაც. შემდეგ, როდესაც ხელმეორედ საზღვარგარედ წავიდა, ცნობებს პოლიციის დეპარტამენტს აწვდიდა და როდესაც პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ლოპუხინი დაინიშნა, აზეფი [illegible] გადმოსახლდა და ამ 1903 წლამდის დარჩა. მერე საზღვარ-გარეთიდან პირდაპირ დეპარტამენტს უგზავნიდა ცნობებს. 1905 წლიდან კი გადავიდა რაჩკოვსკის განკარგულებაში, რომელიც მაშინ პოლიტიკურ განყოფილების მართველად იყო. 1905 ბოლოს აზეფმა დროებით მიატოვა აგენტობას თავი, შემდეგ პეტერბურგის დამცველ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. რა თქმა უნდა, როდესაც აზეფს ცუდად დაუწყობდნენ ხოლმე ყურებას, როდესაც მისი მდგომარეობა პარტიაში ირყეოდა, ის დროებით ანებებდა თავს აგენტობას და შემდეგ კულავინდებურად უახლოვდებოდა პოლიციას.

ბ-ნებო, ეხლა ნება მიბოძეთ შევეხო მაშინდელ დროის ტერორისტულ აქტებს, რათა გამოირკვეს რა თვალით უყურებდა დეპარტამენტი და სამინისტრო აზეფის როლს ამ აქტებში. სანამ ამაზე გადავიდოდე, შევეხები რაჩკოვსკის. როგორც აქაცა სთქვეს, რაჩკოვსკი მართლაც განაგებდა პოლიციის დეპარტამენტის ცალკე გაყოფილებას, მაგრამ მან 1902 წელს თავი მიანება სამსახურს და ამ მდგომარეობაში მან 1905 წლამდის დაჰყო. ამ წელს ტრეპოვი პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. რაჩკოვსკის საგანგებო საქმეთა მოხელეობა მისცეს და ტრეპოვს დაუქვემდებარეს. როდესაც ტრეპოვი მინისტრის ამხანაგად დაინიშნა, მან რაჩკოვსკის პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკური განყოფილება ჩააბარა. აქ მან 1906 წლის ბოლომდის დაჰყო; მერე გავიდა სამსახურიდან და ამის შემდეგ, როგორც პირველ სათათბიროში განვაცხადე, არავითარი თანამდებობა აღარ სჭერია შინაგან საქმეთა სამინისტროში, არ ვიცი, სად დაინახა დეპუტატმა პერგამენტმა წინაამღდეგობა ამ განცხადებასა და მთავრობის განმარტების შორის. მთავრობის განმარტებაში ნათქვამია, რომ არც რაჩკოვსკის და არც სხვა თანამდებობის პირებს არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ტერორისტულ აქტებთან და რევოლიუციონერების სხვა მოქმედებებთანაო. ეს ეკუთვნის იმ დროს, როდესაც რაჩკოვსკი პოლიციის დეპარტამენტის დავალებას ასრულებდა და არა ეხლანდელ დროს. მაშასადამე, 1902 წლიდან 1905 წლამდე ე. ი. აზეფის განსაკუთრებულ აქტიურ მოქმედების დროს, რაჩკოვსკი სამსახურს გარეშე იმყოფებოდა.

გადავიდეთ ტერორისტულ აქტებზე. მე თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ერთ გარემოებას. გამოძიებიდანა და პოლიციის დეპარტამენტის ცნობებიდან ხჩანს, რომ რევოლიუციონერ ორგანიზაციების მეთაურები ტერორისტების გასამართლად [?] ყოველთვის ბოროტ-მოქმედების ადგილას არიან ხოლმე. მაგალითად, სიპიაგინის მოკვლის დროს გერშუნი ისააკის მოედანზე იყო; პობედონოსცევის მოკვლის განზრახვის დროს გერშუნი ნევის პროსპექტზე იყო. აგრეთვე უფამი იყო გენერალ ბოგდანოვიჩის მოკვლის დროს თავად ობოლენსკის მოკვლის განზრახვის დროს „ტივოლის“ ბაღში იჯდა და იმ დროს, როცა დაატყო, რომ ტერორისტი ყოყმანობდა, ხელიც წაჰკრა. პლევეს, დიდ მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მოკვლის დროს, გენერალ ტრეპოვის მოკვლის განზრახვის დროს, გენერალ ნეპლიუევისთვის ყუმბარის სროლის დროს ბორის სავინკოვი ბოროტ-მოქმედების ადგილს იყო. ამიტომ აზეფის რევოლიუციონერ როლის გამოსარკვევად საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. მე აქ არ შევეხები 1902 წლის ტერორისტულ აქტებს, ე. ი. სიპიაგინის მოკვლას და პობედონოსცევის მოკვლის განზრახვას, რადგან ამების ბრალს აზეფს არა სდებენ. მხოლოდ მინდა მოგაგონოთ, რომ ამ წლიდან იწყება აზეფის და გერშუნის გაცნობა. ამავე დროს პოლიციის დეპარტამენტს აზეფმა შეატყობინა გერშუნის მეთაურობა რევოლიუციონერ ორგანიზაციებში. შემდეგ შეატყობინა ვინმე გრიცინის შესახებაც, რომელიც იგივე გერშუნი გამოდგა. ბოლო წლების ტერორისტულ აქტებში გერშუნი უპირველეს როლს თამაშობდა. თვით ხაჩურის და გრიგორიევის პროცესმა ნათლად დაგვანახა, თუ რა დიდ როლს თამაშობდნენ რევოლიუციაში გერშუნი და მელნიკოვი. ამ დროსვე აზეფმა ფერშალ—ქალის რემენიკოვისაგან შემთხვევით გაიგო პობედონოსცევის მოკვლის განზრახვა, რაც პოლიციის დეპარტამენტს შეატყობინა. ამავე დროს იმ მიწერ-მოწერიდან რომელიც გოცის გაცემის გამო გაიმართა იტალიის მთავრობასთან, აგრეთვე გერშუნის მიერ გოცისთან გაგზავნილ წერილებიდან გამოირკვა, რა დიდ როლს თამაშობდნენ გერშუნი და მელნიკოვი რევოლიუციაში. ამ მიწერ-მოწერიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ დაიბადა თავდაპირველად პლევეს მოკვლის აზრი. მიწერ-მოწერაში ერთი საყურადღებო ფრაზაა მელნიკოვის ყუმბარების შესახებ: „პეტია ფურთხლებს თხოულობს“. 1902 წელს უფამი მოჰკლეს ბოგდანოვიჩი. მკვლელობა გერშუნის დააბრალეს. აზეფი ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. ამავე დროს მთავრობამ გაიგო, რომ განზრახული იყო მთელი რიგი ტერორისტულ აქტების მოხდენისა და კიდეგაც მოხდა ეს განზრახვანი. დაიბადა პლევეს მოკვლის აზრი, რომელიც აქ აზეფს მიაწერეს. თუმცა იმავე აზეფმა პოლიციის დეპარტამენტს აცნობა პლევეს მოკვლის განზრახვა, რაიც უნდა განეხორციელებინა კლიტჩოგლუს.

ვიმეორებ, მე არც ვიცავ, არც ბრალსა ვდებ აზეფს, მე მსურს გადმოგცეთ მხოლოდ ის ცნობები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა აქვს. რომ [illegible] აზეფის საქმე, ჩემის აზრით, საჭიროა ოთხი კითხვა დავსვათ და გავარკვიოთ: პირველი—სად იყო აზეფი ამ დროს; მეორე—რა როლს თამაშობდა პარტიაში; მესამე—რა გვარ ცნობებს აწვდიდა პოლიციას და მეოთხე—კონტროლს უკეთებდა თუ არა პოლიცია და დეპარტამენტი თავის თანამშრომლებს ტერორისტულ აქტების შემდეგ. ამ ფაქტზე ცოტა დიდხანს შევჩერდები, რადგან აზეფი ამ დროს რუსეთში იყო. იმ ცნობებიდან, რომელიც მე თქვენ გაგაცანით, სჩანს რომ აზეფი პარტიის სამხედრო ორგანიზაციასთან ჯერ-კიდევ დაახლოვებული არ იყო და მხოლოდ იმის მეტყობინება შეეძლო, რასაც მას პარტიის წევრები გადასცემდნენ. სად იყო აზეფი, ეს იმის წერილებით მოხსენებიდანაცა სჩანს. უნდა ვთქვა, რომ ამ დროს აზეფი უფამი წავიდა, ნახა საზონოვის ძმა იზიტი და აცნობა პოლიციას, რომ იზიტმა არაფერი იცის თავის ძმის შესახებ, რომელიც სატუსაღოდან გაიქცა და რაღაც საიდუმლო საქმეს ამზადებსო. 4 ივნისს აზეფი პეტერბურგში გაჩნდა და პოლიციის დეპარტამენტს შეატყობინა, რომ „ჩრდილოეთის სასტუმროში“ ყუმბარის აფეთქებისაგან მოკლული (ეს ყუმბარა პლევესთვის იყო დამზადებული) ვინმე პოკოტილოვი იყო, რომ მისი თანამოაზრენი და ამხანაგები პოლტავასა და ოდესაში არიანო. ამის შემდეგ აზეფი წავიდა ოდესაში და იქიდან აცნობა პოლიციასა, რომ პლევეს მოკვლას ამზადებენ და თუ გადახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყუმბარები არ იყო დამზადებული. ერთი თვის შემდეგ ეგორ საზონოვმა ყუმბარით მოჰკლა პლევე. მკვლელობის დროს აზეფი რუსეთში აღარ იყო, რადგან 16 ივლისის თარიღით მან ვენიდან დეპეშა გამოგზავნა. პლევეს მოკვლის შემდეგ. პოლიციის დეპარტამენტმა, რა თქმა უნდა, გამოიძია, თუ რას აკეთებდა მისი თანამშრომელი. დეპარტამენტის დირექტორმა დაიბარა რატაევი, გამოიძია საქმე და დასტოვა ადგილზე აზეფი, რომელიც ლოპუხინის მთელ დირექტორობის დროს სამსახურში ითვლებოდა. ამის შემდეგ აზეფმა მეტად საგულისხმიერო ცნობები გამოგზავნა, რამაც საშუალება მისცა პოლიციას წინდაწინვე შეეხპო რევოლიუციონერთა მთელი რიგი განზრახვებისა. ამასთანავე აზეფი ისეთი ცნობებსაც ჰგზავნიდა, როგორებსაც მაშინდელ დროში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მაგალითად, ის იტყობინებოდა, რომ პარიზში რევოლიუციონერების კონგრესი იყო, სადაც დაადგინეს მოიწვიონ პარიზში ყველა რევოლიუციონერ - ოპოზიციონერ პარტიების წარმომადგენელნიო. ეს კონფერენცია 17—23 სექტემბერს მოხდა და, როგორც აზეფის მოხსენებიდანა სჩანს, კონფერენციას რევოლიუციონერების მხრივ დაესწრებიან თვითონ აზეფი და ჩერნოვი, კონსტიტუციონალისტების მხრივ — პეტრე სტრუვე, ბოგუჩარსკი, თავადი დოლგორუკოვი, პავლე მილიუკოვი (ხმები ცენტრში: „კარგი ნაცნობებია“, „კარგი მეგობრები ყოფილან!“ სიცილი). 1905 წელს [illegible] მოსკოვში მოჰკლეს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. ამავე დროს პეტერბურგში განიზრახა ტრეპოვის მოკვლა. აზეფი რომ რუსეთში ყოფილიყო და საშუალება ჰქონოდა საქმის მოწყობილობიდან გაეგო ყველაფერი, უფრო დაწვრილებით ცნობებს მოგვაწვდიდა. დიდი მთავრის მოკვლის საქმე სავსებით გამოამჟღავნა სასამართლომ, ამ საქმის ლიტერატურამ, განსაკუთრებით კი არალეგალურმა ლიტერატურამ, მაგრამ არსად არა სჩანს აზეფის გვარი. ეს საქმე ბორის სავინკოვმა და როზა ბრილიანტმა მოაწყვეს, მოკვლით კი კალიაევმა მოჰკლა. აზეფი ამ დროს საზღვარ-გარედ იყო. საბუთებიდანა სჩანს, რომ დიდი მთავრის მოკვლამდე აზეფი პარიზში იყო, სამ თებერვალს [illegible] და შემდეგ კვლავ პარიზში. რაც შეეხება გენერალ ტრეპოვის მოკვლის განზრახვას, იგი გამოამჟღავნა ტატაროვმა, რომელმაც ყველა ორგანიზატორის გვარი შეატყობინა პოლიციას. აზეფი-კი არ მოხვდა ამ სიაში, თუმცა ტატაროვმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა აზეფის აგენტობა. პირიქით აზეფმა დამატებითი ცნობები მოგვცა ამ საქმის შესახებ. ერთ-ერთ განცხადებაში ეწერა, რომ კიევში გაიგზავნა რაზმი გენერალ კლეიგელსის მოსაკლავადაო. ამის შესახებ არც პოლიციის დეპარტამენტში, არც დამცველ განყოფილებაში არაფერი ცნობა იყო ცნობა იყო, რომ კიევში ადგილობრივი რაზმი მოქმედობსო, ეს რაზმი თავის დროზე კიდეც მოსპო პოლიციამ.

1906 წლიდან საქმე სხვანაირად დატრიალდა. დაატუსაღეს ბორის სავენკოვი. ამის შემდეგ აზეფი, როგორცა ვსთქვი, სამხედრო ორგანიზაციაში ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლად გახდა. ვამტკიცებ, რომ ამის შემდეგ ყოველნაირი რევოლიუციონერი განზრახვა ჩაიფუშა და არც ერთი მათგანი აღარ განხორციელებულა. მეკითხვაში აღნიშნულია დურნოვის მოკვლის განზრახვა, რაიც უსაფუძვლოა. შემდეგ მოხდა მთელი რიგი ბოროტმოქმედებისა. დუბასოვის მოკლის განზრახვა, გენ. მინის, პავლოვის, გრაფ იგნატიევისა, ლაუნიცისა და მაქსიმოვსკის მკვლელობანი. თუ პოლიციამ წინდაწინვე ვერ აიმღრა ეს მკვლელობანი, მხოლოდ იმიტომ რომ მკვლელობანი ცენტრალურ კომიტეტის საქმე კი არ იყო, არამედ ავტონომიურ ორგანიზაციებისა, მაქსიმალისტებისა და სხვათა. ეს დაამტკიცა სასამართლომ და მტკიცდება რევოლიუციონერ წყაროებიდანაც. სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანოში, „რევოლიუციონერთა მისლში“-მი (1907 წლისა), ნათქვამია, რომ „პარტიის სამხედრო მოქმედება იმისთანა მომენტებში, როგორიც 1905 წლის ბოლო იყო, უმლუთრია, რაიც, იმას ამტკიცებს, რომ პარტიის ცენტრში მოღალატეა. კარგა ემსახურებოდნენ მხოლოდ მფრინავი რაზმები, ნამეტნავად ჩრდილოეთისა. ეს-კი აიხსნება იმით, რომ ეს ორგანიზაციები ავტონომიურად არიან მოწყობილნი და ცენტრმა წინდაწინვე არ იცის მათი მოქმედება“. ამასვე ამტკიცებს სასამართლოც. ვიმეორებ, ცენტრალურ ორგანიზაციების განზრახვებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. აქ მოიგონეს ხელმწიფე იმპერატორის მოკვლის განზრახვა 1908 წელს. ვამტკიცებ, რომ ეს ხმები ჭორია. ამისთანა ხმებს უსათუოდ ცენტრალური კომიტეტი ავრცელებდა, რომ რევოლიუციონერ პარტიების წინაშე თავისი უმოქმედობა გაემართლებინა.

მე დაწვრილებით გავიხწავლე აზეფის საქმე, რადგან მეინტერესებოდა გამეგო, ბოროტმოქმედებაში მთავრობის ორგანოებიც ხომ არ ერივნენ. მაგრამ ამისთანა ვერაფერი ვპოვე. რაც შეეხება აზეფს უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვერა ვნახავ საბუთებს იმისას, რომ მას ბოროტ მოქმედებაში მონაწილეობა მიეღოს. მთავრობას ამ საქმეში მარტო სიმართლე უნდა. ავიღოთ აზეფი. ვთქვათ იგი პოლიციის დეპარტამენტს ცნობებს აწვდიდა და ამისთანავე ტერორისტულ აქტებში მონაწილეობას იღებდა. აქედან მარტო ის გამოდის, რომ იმპერიის მთავარი პოლიცია ცუდად ყოფილა მოწყობილი და საჭიროა მისი კარგად მოწყობა. ვთქვათ ახლა რომ აზეფი რევოლიუციონერებს იმ პირს აკვლევინებდა, რომელნიც ადმინისტრაციას არ [illegible], მაგრამ ამ შემთხვევაში ან მთავრობა სულ მკვლელებისგან შესდგება, ან საჭიროა დამნაშავეთა აღმოჩენა. რაიმე საბუთი რომ მქონდეს, დამნაშავეს დავატუსაღებინებდი, ვინც გინდა ყოფილიყო იგი. ვთქვათ ახლა, რომ აზეფი პოლიციას ატყობინებდა ყველაფერს, რაც-კი იცოდა. აქედან ის გამოდის, რომ რევოლიუციის ერთი მეთაურთაგანი რევოლიუციონერი და პროვოკატორი კი არ იყო, არამედ პოლიციის დეპარტამენტის მოხელე, და ეს სამწუხარო და სავალალო მთავრობისთვის კი არ არის, არამედ რევოლიუციონერ პარტიისათვის. ამიტომ ვფიქრობ რამდენადაც ამ საქმეში მთავრობისთვის სინათლეა საჭირო, იმდენად რევოლიუციისთვის—სიბნელე. წარმოიდგინეთ, ბატონებო, ახალგაზრდა კაცი ან ქალი, რომელიც თავს არ დაზოგავს რევოლიუციისთვის, რას იფიქრებს ასეთი ადამიანი, როდესაც გაიგებს, რომ რევოლიუციის მეთაურები ღალატობენ. რევოლიუციისთვის უფრო სახარბიელოა არ არის ყველაფერი მთავრობას და მის აგენტებს მიაწეროს. ქარაფშუტა ხალხი რომელიც ყველაფერს დაიჯერებს, ბევრია. ავიღოთ ბაკაი, პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი მოხელე ეხლა კი რევოლიუციონერი. ესლა-ხან იმისი წერილი მივიღე. მთხოვს გადავათვალიეროო ის საბუთები, რომელიც მას 1907 წ. გაჩხრეკის დროს ჩამოართვეს. წინადადებას იძლევა პეტერბურგში დავბრუნდები და საქმის გამომჟღავნებას ხელს შევუწყობო ეს საბუთები, როგორცა სჩანს, პრესისთვის ყოფილა დაწერილი: ეს ის არის, რაიც ეხლა გაზეთ „მატენ“-ში იბეჭდება, მხოლოდ უფრო მოკლედ. ეს საბუთები ეხება 1905 წელს, უფრო კი მაძებარ პოლიციას, ვიდრე დამცველს. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი ცნობები ამ საქმის შესახებ უკვე პრესსაში გამოქვეყნდა; მე მაშინვე ბრძანება გავეცი, გამოეძიებინათ და ამიტომ ვამტკიცებ, რომ რაზაც ბაკაია ამბობს, მეტ წილად გამოგონილია. ასეთია, მაგალითად, ცნობები მრიცოლსკის შესახებ სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე აქ გადმოცემული ცნობა, ვითომ რომელიღაც კაცი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, ეხლა სადღაც დამცველ პოლიციის უფროსად იყოს. სადღაც დამცველი პოლიცია-კი არ არის (სიცილი).

მამასადამე სჩანს, რომ უსარგებლოდ არა ყოფილა ადმინისტრაციაზე ასეთი ჭორების გავრცელება. ამით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. მაგალითად, შეიძლება პასუხის მგებლობა რევოლიუციის საქმეში მთავრობას გადააბრალონ (ტაში ცენტრსა და მარჯვნივ). შეიძლება იმას მიაღწიონ, რომ გაუქმდეს საიდუმლო პოლიცია, თითქმის პოლიციის დეპარტამენტიც-კი. ესეთი სურვილი წინა ორატორებს შევნიშნე; შეიძლება მათ იმედი ჰქონდეთ, რომ თვითონ გულ უბრყვილო მთავრობა მოსპობს პოლიციას, ამ რევოლიუციის მახეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რამდენადაც საიდუმლო პოლიცია რევოლიუციასა ცნებს, იმდენად მას სარგებლობა მოაქვს მთავრობისთვის. ნება მიბოძეთ ეს თვითონ ბაკაის სიტყვით დაგიმტკიცოთ. „ბილოეს“ უკანასკნელ ნომერში ბაკაია სწერს, რომ როდესაც პოლონეთის სოციალისტურ პარტიის სამხედრო ორგანიზაციაში ორი პროვოკატორი შევიდა, პარტიამ ერთი წლის განმავლობაში ვერას გზით ვერ მოჰკლა გენერალ-გუბერნატორი და ორი ბოქაული, ამასთან მთელი ჯგუფი შეიპყრეს; 1905 წლიდან კი, როდესაც პროვოკატორები აღარ იყვნენ პარტიაში, მოჰკლეს გენერალ-გუბერნატორი, მისი თანაშემწე, პოლკოვნიკი, ორი პოდპოლკოვნიკი, ბოქაულის ორი თანაშემწე, 20 სალდათი, 7 ჟანდარმი, 56 პოლიციელი; დასჭრეს: 42 სამხედრო პირი, 12 ჟანდარმი, 42 პოლიციელი, სულ 176 კაცი; გაცარცვეს ოჟაროვის, ლიბრტოვის, მაზოვეცის ხაზინები, საიდანაც ნახევარ მილიონამდე მანეთი წაიღეს; მოახდინეს 206,000 მანეთის ექსპროპრიაცია, გაცარცვეს 119 სახაზინო არყის დუქანი; გასტყორცეს 10 ყუმბარა, რითაც მოჰკლეს 8 და დასჭრეს 50 კაცი. ვფიქრობ, რომ რიგიანად მოწყობილი აგენტობა ამცირებს ბოროტ-მოქმედებას; ასეა თუ ისე რევოლიუციის ერთად-ერთი თავის დაწყევა აზეფის საქმიდან ის არის, რომ ყველაფერი მთავრობას მიახვიოს კისერზე.

მე შემიძლიან ბრალმდებელნიც დავასახელო, სულ სამი კაცია, ერთი გახლავთ ბაკაი. ფერშალი მიხეილ ბაკაი, რომელიც 1900 წელს ეკატერინოსლავის დამცველ განყოფილებაში თავის სურვილით შევიდა, მან თავდაპირველად ეკატერინოსლავში აღმოაჩინა რევოლიუციონური ორგანიზაცია, ჩერნიგოვში აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა, აღმოაჩინა რევოლიუციონერთა ჯგუფი, რომლის წევრნიც რუსეთის სხვა და სხვა ადგილას დააპატიმრეს. ამის შემდეგ პარტიაში ყველაფერი გაუქმა და იგი ვარშავაში გადაიყვანეს, სადაც დიდ მონაწილეობას იღებს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ორგანიზაციის აღმოჩენაში მავნე გადაარჩინა გენერალ-ადიუტანტი სკალონი და კინაღამ დაიღუპა კიდეც ბოროტ-მოქმედების მეპყრობის დროს, რომელსაც ყუმბარა უნდა ესროლა გენერლისთვის.

ამავე დროს დამცველ განყოფილებაში იქვე დაიბადა ბაკაიზე. იქვე შემდეგმა გარემოებამ დაჰბადა: ორმა ებრაელმა, ზაგელსკერგმა და პინკერტმა, გაიგეს დამცველ განყოფილების ერთი საიდუმლო საქმე. რამდენიმე დაპატიმრებული ტუსაღი უნდა გაენთავისუფლებინათ საიდუმლო პოლიციას. ეს გაიგეთ ამ ებრაელებს, ტუსაღების ნათესავებთან მისულიყვნენ და ფული ეთხოვნათ, გავანთავისუფლებთ თქვენს ნათესავებსაცო (უკმაყოფილება ცენტრში). ბაკაის ამ პირებთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა და დამცველმა პოლიციამაც, გაიგო თუ არა ეს, სამსახურიდან დაითხოვა ბაკაი. იგიც ხმა ამოუღებლად დაემორჩილა გადაწყვეტილებას, თუმცა ამაზე ცოტა წინ ბაკაი თხოულობდა პეტერბურგში გადასვლას. ამ თხოვნას იმითი ასაბუთებდა, რომ ვარშავაში ბევრ პოლიტიკურ პროცესში მივიღე მონაწილეობა და ჩემი აქ დარჩენა სახიფათოაო. სამსახურიდან გასვლის შემდეგ ბაკაიმ საქმე რევოლიუციონერებთან დაიჭირა. მისცა მათ საიდუმლო ცნობები; ამაში პოლიციამ დაიჭირა და გადაასახლა ციმბირში, საიდანაც გაიქცა საზღვარ გარედ, პარიზში. სადაც იმყოფება და ამხილებს თავის ყოფილ თანამშრომლები, აძლევს არალეგალურ პრესას საიდუმლო საბუთებს და სცდილობს რევოლიუციაში ჩარიოს თავისი ყოფილი თანამშრომელნიც, პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურენი. აი, ბატონებო, სურათი რუსეთის რევოლიუციის ერთ პარიზელ მოღვაწისა.

მეორე ბრალმდებელი ბურცევია. 23 წლიდან იგი „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის წევრია. იგი ამისთვის კიდეც გადაასახლეს ციმბირში, მაგრამ ისიც საზღვარგარედ გაიქცა, სცხოვრობდა შვეიცარიასა, ბოლგარიასა, ინგლისსა და საფრანგეთში. ბურცევის რევოლიუციონური რწმენა—ტერორია, მკვლელობაა, მეფის მოკვლა, ტერორი სხვა და სხვა ასაფეთქებელ ყუმბარების საშუალებით. ეს არის, ბატონებო, ბურცევის მოძღვრება. მე არ მინდა ლითონ სიტყვებზე დავამყარო ეს დახასიათება. დავემყარები ფაქტიურ მასალას. ხომ მოგეხსენებათ, ყველაზე მეტი თავისუფლება ინგლისსა და შვეიცარიაშია. ორივე ამ სახელმწიფომ ბურცევი ბოროტ-მოქმედად იცნო. ინგლისში ბურცევი ბეჭდავდა ჟურნალ „ნაროდოვოლეც“-ს. იქ იგი სამართალში მისცეს იმიტომ, რომ ქადაგებდა ტერორს, მეფის მკვლელობას. 1898 წელს სასამართლომ დამნაშავედ იცნო და 18 თვით დაპატიმრება მიუსაჯა. როცა ეს ვადა გაათავა, ბურცევი შვეიცარიაში გადასახლდა და იქ გამოსცა წიგნაკი „ძირს ხელმწიფე“. შემდეგ გამოსცა კიდევ წიგნაკი „იარაღს ხელი“ და ანარქიზმისა და ტერორის ქადაგებისათვის შვეიცარიის მთავრობამ გააძევა ბურცევი.

მესამე ბრალმდებელი—ლოპუხინია, პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი. ეხლა ლოპუხინი სამართალშია მიცემული. ჰბრალდება ის, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის დაეხმარა და აზეფის დამცველ პოლიციაში სამსახური აუწყა. წინასწარ გამოძიების ცნობები, რომელსაც თვითონ ლოპუხინიც არა ჰყოფს უარს... (მარცხნიდან: „არ უნდა იქმნეს გამოქვეყნებული“). უეჭველად, აქ გავიგონე, რომ წინასწარ გამოძიების ცნობები არ უნდა გამოქვეყნდესო. მე, როგორც მთავრობის სათავეში მდგომს, უფლება მაქვს შევეხო ამ ცნობებს და ვაუწყო სახალხო კრებას (მარცხნივ და ცენტრში: „ნამდვილია“). ვამბობ, წინასწარი გამოძიების ცნობების მიხედვით. განვლილის წლის შემოდგომაზე ლოპუხინი ვითომ და შემთხვევით შეჰხვდა ბურცევს გერმანიაში. ხოლო 10 დეკემბერს ლონდონის სასტუმროში სამი ტერორისტი, სავინკოვი, არგიენოვი და ჩერნოვი შევიდა ლოპუხინთან, რომელმაც აუწყა დანამდვილებით, რომ აზეფი მართლა პოლიციის დეპარტამენტში მსახურობს-ო. იმიტომ კი არ მოვიყვანე ეს აქ, რომ დავაფასო ლოპუხინის მოღვაწეობა, არა, ამ დაფასების მიუდგომელ სასამართლოსაგან მოველით (მარჯვნივ: „ასეთი სასამართლო არ არსებობს რუსეთში“). მთავრობას რომ ეს საქმე სასამართლოსთვის არ გადაეცა; მთავრობას რომ ყური მოეყრუებინა იმისათვის, თუ მაღალი ადმინისტრატიული მოხელენი როგორს კავშირში არიან რევოლიუციონერებსა და ტერორისტებთან; რომ ყურადღება არ მიექცია ამ მოხელეთა მხილებისათვის, საიდუმლოების გაცემისა და რევოლიუციონერთა ხელში ჩვენების ჩაგდებისათვის,—ეს მომასწავებელი იქნებოდა არა მარტო იმისა, რომ მთავრობას ეშინიან საიდუმლოების გამომჟღავნებისა, არამედ იმასაც, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება გახრწნილა და დაცემულა (ტაში ცენტრში). მე სრულიადაც აზრად არა მაქვს განვმარტო, რამ ჩაიდინა ლოპუხინმა ასეთი საქმე. მე მინდოდა გამეგო, ლოპუხინმა ხომ არა იცოდა-რა აზეფის ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ აზრით გადავათვალიერე გამოძიების მიერ შეკრებილი მასალა და შემიძლიან გადაჭრით ვთქვა, რომ ლოპუხინმა ამის შესახებ არაფერი იცის. ლოპუხინს აზეფის ბოროტმოქმედება რევოლიუციონერებისთვის არ შეუტყობინებია. პირიქით, რევოლიუციონერებმა აცნობეს მას, ვითომ აზეფს დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის და პლევეს მკვლელობაში და ხელმწიფე იმპერატორის მოკვლის განზრახვაში აქტიური მონაწილეობა მიეღოს. ამ რიგად, რევოლიუციონერი, ტერორის მქადაგებელი პოლიციის დირექტორად [illegible] თანამშრომლის ბოროტმოქმედებას უხსნის და ამის დამამტკიცებელი საბუთები არ მოჰყავს. ლოპუხინს ბურცევმა უთხრა, ბევრი საბუთი მაქვს აზეფის წინააღმდეგო, მაგრამ მარტო ბაკაის ჩვენება-კი მოიყვანა. ლოპუხინმა ამ ცნობების მიხედვით გასცა პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, ვითომ შემდეგში იმის საზარალო მოქმედების ასაცილებლად. მე მგონია, მას ასეთი ფაქტები და ცნობები უფრო მთავრობისათვის უნდა გაეცა და არა ტერორისთვის. ამიტომ გადავწყვიტე, თუ ამისთანა რამ ცნობები არის, დეე, ლოპუხინის პროცესმა მოჰფინოს ნათელი. მაგრამ ეხლავე სჩანს, რომ ეს პროცესი ისეთსავე დაუსაბუთებელ ცნობებს მოგვცემს, როგორსაც დღეს იძლევა საზღვარ-გარეთის პრესსა.

მაშ რა დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ [illegible]: როგორც [illegible], არავითარი საბუთი არა მაქვს, [illegible] თანამდებობის კაცს ბრალი დავდო უკანონო მოქმედებაში. არც აზეფის წინააღმდეგ მაქვს ცნობა, რომ მას პროვოკაცია დავაბრალო. მეორე დასკვნა, დასკვნა სამწუხარო, ის არის, რომ სანამ ტერორი არსებობს პოლიციური ძებნაც იარსებებს. გაიცანით რევოლიუციონური ლიტერატურა, წაიკითხეთ ისტრიკონები, სადაც ასწავლიან, თუ როგორ უნდა იბრძოლონ ტერორის და ყუმბარების საშუალებით; სადაც ურჩევენ, რომ ყუმბარები თუჯისა აკეთონ, რაც შეიძლება ბევრი ლურსმანი ჩაჰყარონ შიგ; გაიცანით ქადაგება ხელმწიფე იმპერატორის მოკვლის შესახებ, ცხარე ქადაგება ტერორის გაგრძელების შესახებ, რის რეზოლიუციაც რევოლიუციონერთა პარტიამ 14 აგვისტოს ლონდონში მიიღო; გაიცანით რევოლიუციონერთა რეზოლიუცია პარიზში, აზეფის გაქცევის შემდეგ, მიღებული, და სთქვით, შეუძლიან თუ არა მთავრობას დაკმაყოფილდეს მარტო გარეგანის პოლიციით, თუ იმის მოვალეობას შეადგენს დაიცვას ხელმწიფე და დაგვიცვას ჩვენ. პოლიციის რეფორმის შესახებ გამაგონებთ, რომ პროვოკატორ მოხელეებს ყოველთვის სამართალში აძლევენ. სულ მოკლე ხანში ჟანდარმთა აფიცერს ტუსაღთა განყოფილება გადაუწყვიტეს; კალუგაში სამართალში მისცეს პოლიცია. დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, მიუხედავად მუქარისა, რომ სხვა თანამშრომლებსაც გამოვაქვეყნებო, პენზაში სამართალში მისცეს აგენტი, რომელმაც წინად დიდი დახმარება გაუწია პოლიციას. უფრო შორს წავალ და ვიტყვი, რომ თუმცა საქმის შესწავლამ დამანახვა, რომ აზეფის საქმეში პროვოკაცია არა ყოფილა, მაგრამ ამისთანა საქმეში ბოროტ-მოქმედება ყოველთვის შესაძლებელია და ტყუილად მოჰყავთ პირველ სათათბიროში ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვა. მე ვთქვი მაშინ, რომ სანამ მთავრობის სათავეში ვდგევარ, მთავრობა არ ისარგებლებს პროვოკაციით, როგორც სისტემით. მაგრამ მახინჯი მოვლენა ყოველთვის არის. ვიმეორებ, როდესაც მთავრობა გაიგებს ხოლმე პროვოკაციას, ზომებს ხმარობს. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ პროვოკაციას მთავრობა მისდევს (ტაში მარჯვნივ). მე მოვალეობად ვსთვლი განვაცხადო, რომ პოლიციის ორგანოებში მტკიცედ არის დაცული პატიოსნების, მოვალეობის და ფიცის გრძნობა. მე ვიცი, როგორ არ ერიდებიან აქაურ დამცველ პოლიციის აგენტები სახიფათო საქმეებს. მე მახსოვს დამცველ პოლიციის ორი უფროსი; მახსოვს, როგორ გულგრილად მთხოვდნენ, მათი ოჯახობა უზრუნველ მეყო, თუ მათ მოჰკლავდნენ. ორთავენი შეგნებულად მოკვდნენ ხელმწიფისა და სამშობლოსათვის. მოიგონეთ ბოლონდელი ამბავი მოსკოვში, სადაც ცარიელ აგარაკში მახე დაუგეს დამცველ პოლიციის აგენტებს და სახურავიდან დაუნდობლად დახოცეს. განა დამცველ პოლიციის უფროსი და მისი ამხანაგი იმ ღამესვე არ გაეშურნენ ამხანაგების გამოსახსნელად? ორივენი მძიმედ დაიჭრნენ.

მე მინდოდა, ამითი გამეთავებინა. მაგრამ ჩემ სიტყვიდან დავრწმუნდი, რომ შეიძლება სხვანაირად გაიგონ ნალაპარაკევი. შეიძლება მითხრან: რუსეთში მაშასადამე, პროვოკაცია არ არის; დამცველი განყოფილება წესიერებას იცავს რუსეთის მოქალაქენი უბედნიერეს მოქალაქეებად უნდა ჩაითვალნენ (სიცილი მარცხნივ). ეხლა ისე ადვილად ამახინჯებენ ჩვენს მიზანსა და შინაურ პოლიტიკას, რომ ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელიც არის. მე კი ვაგონებ, რომ კეთილ-გონიერ უმრავლესობისათვის შინაურ პოლიტიკის მიზანი ნათელი და მარტივი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ყუმბარითა და რევოლვერებით გვიხდება ამ მიზნების განხორციელება. მთელი ჩვენი პოლიციური სისტემა, მთე-

...ლი დახარჯული შრომა და ძალა ბრძოლისა რევოლიუციის გამხრწნელ სენთან —რასაკვირველია, მიზანი არ არის, არამედ საშუალებაა, რომ უზრუნველ-ვყოთ შრომა და სიცოცხლე და საშუალება მოვცეთ კანონმდებლობისა. დიაღ, ბატონებო, კანონმდებლობის დაცვა, რადგან იყო განზრახვა, რომ საკანონმდებლო საკრებულო ყუმბარით აეფეთქებინათ. და იქ, სადაც საბუთად ყუმბარაა, იქ, რასაკვირველია, ბუნებრივ პასუხად—სასჯელის დაუზოგველობა და შეუბრალებლობა იქნება. უნდა გავაუკეთესოდ ჩვენი ცხოვრება არა სასჯელის მოსპობით, არა დანაშაულობისა და ბოროტების ჩადენის გაადვილებით, არამედ შინაურის მუშაობით. საჭიროა გარდავქმნათ ცხოვრება, და ეს გარდაქმნა უნდა ძირიდან დაიწყოს (ნაგულისხმევი) რევოლიუციონერები) მაშინ, ეჭვი არ არის, თავის-თავად მოისპობა საგანგებო წესებიცა და განსაკუთრებული სასჯელიც. ნუ იფიქრებთ, საკმაო დაავადმყოფებულ ვარდის ფრად მოვცხოთ ყოველნაირი თავისუფლება, რომ რუსეთი გასცდეს. რუსეთის განსაკურნებელი გზა უმაღლესად უჩვენეს და ეხლა თქვენი საქმეა, შეასრულოდ დაკისრებული მოვალეობა. მთავრობა, მხოლოდ მასალაა; ეს მასალა გაგიადვილებთ თქვენ შენობის აგებას. ჩვენი მტრები გვითითებენ ამ მასალაზე და უმსგავსად აგებულ შენობაზე და ბრაზმორევით სცდილობენ საძირკველი გამოაცალონ ამ შენობას, მასალა აუცილებლად ჩამოწვება და შესაძლებელია თავის ნანგრევებში ჩვენც მოგვიყოლოს. მაგრამ დაე, ეს მოხდეს მაშინ, როდესაც ნანგრევებს იქით გამოჩნდება განახლებულ თავისუფალ რუსეთის შენობა; თავისუფალს—ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით; მაშინ როდესაც აღარ იქნება სიღარიბე, გაუნათლებლობა და უუფლებლობა და მთელი რუსეთი, როგორც ერთი კაცი, თავდადებული იქნება თავის ხელმწიფისათვის (ტაში მარჯვნივ ცენტრში) ეს დრო დადგება და დადგება მალე; დადგება იმიტომ, რომ ჩვენს მხარეზეა არა მარტო ძალა, არამედ სიმრთელეც. (ტაში ცენტრსა და მარჯვნივ)

სხდომა დასრულდა 12 საათსა და 52 წუთზე. შემდეგი სხდომა პარასკევს, 13 თებერვალს, დილის 11 საათზე, ამ სხდომაზე განაგრძობენ კამათს.

## ქართული სახალხო წარმოდგენები

როგორც იქნა, დამთავრდა ზუბალაშვილების სახალხო სახლის მოწყობა და გამართვა. მალე იქ უნდა დაიწყოს წესიერი და სისტემატიური მუშაობა. სახლის გამგე კომისია და ქალაქის მმართველობა კიდეც შეუდგნენ თადარიგის დაჭერას და ამ ჟამად იმის ცდაში არიან, რომ მკვიდრად მოაწყონ სახალხო თეატრის საქმე ახლად დამთავრებულს სახალხო სახლში. საჭიროა, ამ თავითვე საქმე წესიერად და კარგად იქნას დაყენებული, რათა სახალხო სცენამ დაუბრკოლებლად შეასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა, თავისი სასარგებლო მუშაობა ხალხის კულტურულ განვითარების საქმეში.

ამ მხრით ფრიად საყურადღებოა საკითხი, თუ ვის გადაეცემა საქმე სახალხო წარმოდგენების მართვისა ზუბალაშვილების სახლში. პრეტენდენტი ბევრი გამოჩნდება, ისეთებიც კი, რომელთაც პირადი ანგარიში მეტი ექნება, ვიდრე სახალხო საქმისთვის უანგარო მუშაობა. ამიტომ, საჭიროა სიფრთხილე და მოსაწონია სახლის გამგეთა მიერ გამოჩენილი სურვილი—ფრხილად გამოარკვიოს საკითხი...

რუსულ და სომხურ სახალხო თეატრზე არას ვიტყვით, მხოლოდ ქართულის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ეს საკითხი ამ მხრით არ არის ძნელი გადასაწყვეტი. ქართულ სახალხო წარმოდგენების საქმე ტფილისში უკვე მკვიდრ ნიადაგზე სდგას და მას სათავეში უდგია უკვე გამოცდილი და დამსახურებული პირისუფალი. ეს საქმე 1892 წლიდან დაიწყო. ინიციატორებმა იმ ხნიდან დაწყებული ბევრი დაბრკოლებანი და ჭირ-ვარამი გამოსცადეს და გამოიარეს. ბოლოს, დიდის მხნეობით საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენეს და დღეს ქართული სახალხო სცენა ტფილისში უზრუნველყოფილი ჰქონს ყოველგვარ შემთხვევისაგან, რომელიც წინად დიდ როლს თამაშობდა ამ საქმეში. ეს ინიციატორები ჩეტად ცუდ პირობებში მუშაობდნენ: არც ხეირიანი შენობა, არც სახსარი, არც მოწყობილობა არა ჰქონიათ, ძალებიც არა ჰყავდათ; ეგრედ წოდებული „გარეშე პირობებიც“ იმ დროში ძალიან უშლიდნენ ხელს, მაგრამ საქმისადმი სიყვარულმა ყველაფერს სძლია და „ავჭალის აუდიტორიის“ სექციამ გაიმარჯვა. 1895 წლიდან წარმოდგენების რიცხვიც თანდათან იზრდებოდა (1895 წელს რომ 9 წარმოდგენა გაიმართა მხოლოდ, 1903 წელს უკვე 40-მდე ავიდა) და ღირსებითაც თანდათან უკეთესდებოდა. ბოლო წლებამდე ეს წრე აწ განსვენებულ „სახალხო კითხვათა კომისიაში“ მუშაობდა, ახლა კი სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას ამოაფარა თავი.

აი, ეს გამოცდილი და მომაგე პირისუფალი გვყ ვს ჩვენ სახეში, როცა ვამბობთ, რომ ძნელი გადასაწყვეტი არაა საკითხი, თუ ვის ჩააბაროს სახალხო სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენების მართვის საქმე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გარემოებებს ყურადღებაში მიიღებენ სახლის გამგენნი და თავიდანვე საიმედო ყოფაში ჩააყენებენ საქმეს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი.

### მიწის-ძვრა

**სტამბოლი**. სივასიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ კადილგისარში მიწის-ძვრისგან 37 კაცი დაიღუპა და 28 დაშავდა. დაზიანდა 1,500 სახლი. მთავრობამ საშველი რაზმი გაჰგზავნა.

### სპარსეთი

**თავრიზი**. შაჰის ჯარმა მოქმედება დაიწყო. თავრიზს სამი მხრიდან უვლიან. დაიწყო ზარბაზნებისა და თოფის სროლა. ცხენოსნები მაღლობ ადგილებიდან ქალაქ საზღვარზე ჩამოვიდნენ. სოფელ სოფიანში ტყვედ შეიპყრეს 100 ფიდაი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი**. „იკდამის“ ცნობით, რადგან სპარსეთში არეულობაა, სამხედრო მინისტრისთვის წინადადება მიუციათ, სალმასში ჯარი გაგზავნოს ოსმალეთის ქვეშევრდომების დასაცველად.

**სტამბოლი**. ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმების განაჩენს ხვალ მოაწერენ ხელს.

ოფიციალურ გაზეთში უარყოფილია „ტანინ“-ის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც სალონიკიდან სტამბოლში მსროლელთა სამ ბატალიონს კიდევ ელიანო.

### ბალკანეთი.

**პარიზი**. „ტანი“ ჰფიქრობს, რომ რადგან სერბიის სურვილი—მიიღოს ტერიტორიალური კომპენსაცია (დაკმაყოფილება)—საფრთხეს იწვევს, საჭიროა განემარტოს სერბიას მისი ლტოლვილების უსაფუძვლობა. რუსეთს, რადგან იგი სერბიის ამ იმედებს მხარს არ უჭერს, შეუძლიან მიემხროს სახელმწიფოებს ამაში.

**ბერლინი**. „ბერლინ ტაგებლატს“ არა სჯერა, რომ ავსტრიის ელჩი ბელგრადში სერბიიდან ოჯახურ მიზეზით წასულიყოს. გაზეთი კონფერენციის მოწვევის საჭიროებას აღიარებს, რომელიც, მისის სიტყვით, საქმეს კარგად დააბოლოვებს. „ბერლინ ცაიტუნგი“ ერთ წერილში („ომის მოახლოვება“) ამბობს, რომ ეხლა მარტო რუსეთს შეუძლიან სერბებს თვალები აუხილოს, მაგრამ, როგორაც სჩანს, პეტერბურგში პანსლავიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვაო და ეს არაფერ კარგს არ მოასწავებსო.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი**. ლორდთა პალატამ ერთხმად მიიღო კანონპროექტი ინდოეთის ადმინისტრაციაში რეფორმის მოხდენის შესახებ.

საღამოთი სუფრაჟისტი ქალები შეეცადნენ პარლამენტში შესულიყვნენ. პოლიციამ არ შეუშვა. დააპატიმრე 25 ქალი.

**ლონდონი**. ქვედა პალატა. სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის შემუშავების დროს პარლამენტის მდივანმა ბიუკენენმა განაცხადა: მთავრობას საბუთები აქვს იმისა, რომ ინდოეთში შეთქმულება მოაწყვეს, რომლის მიზანი იყო ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლება. შეთქმულება გავრცელდა ბენგალიაში და ინდოეთის ზოგიერთ ნაწილში. შეთქმულებს სურდათ თავიანთი განზრახვა შეიარაღებულ აჯანყებით კი არ განეხორციელებინათ, არამედ პრესის საშუალებით. ამას გარდა შეთქმულებს ჰქონიათ ცალკე განყოფილება, რომელიც თვალყურს ადევნებდა პოლიციას, მდიდრებს იძულებით და ღარიბის დამონებით ფულს ართმევდა. უნდოდათ ტერორის საშუალებით დაეშინებინათ აღმასრულებელი მთავრობა, როდესაც იგი შეეცდებოდა კანონით განხორციელებას, ამ აზრით მოჰკლეს პოლიციის და სამოქალაქო მოხელენი და სისხლის სამართალში პროცესის დიდი მოწმენი. შეთქმულებმა მაინც ვერ განახორციელეს თავიანთი გეგმა. თუმცა შეთქმულების მიერ შექმნილი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს, მაგრამ მთავრობას მაინც უფლება ჰქონდა განსაკუთრებულ წესებისთვის მიემართნა. მთავრობა შეეცდება რეფორმები შემოიღოსო.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა ქ-ნ ფილოსოფოვას დეპუტატ პურიშკევიჩის წინააღმდეგ. მოსამართლემ პურიშკევიჩს ერთი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. სასჯელი ჯარიმით ვერ შეეცვლება. ფილოსოფოვას მხრივ ილაპარაკა გრუზენბერგმა, პურიშკევიჩს ნიჟეგოროდელი მეშჩანინი კამენევი.

**პეტერბურგი** სინოდმა შესაძლებლად ცნო მღვდლების მონაწილეობა წვრილი კრედიტის ამხანაგობებში. მღვდლებს შეუძლიანთ არა თუ პაი შეიძინონ და მზრუნველებად იყვნენ არამედ გამგეობების და საბჭოს წევრადაც იყვნენ.

საერო განათლების მინისტრმა, როგორც დროებითი ზომა (1910 წლის 25 მარტის დებულების განხილვამდე), გამოაქვეყნა სია იმ საგნებისა, რომელშიაც უნდა ეგზამენი დაიჭირონ იმათ, ვისაც სურ მიიღონ გიმნაზიების და პროგიმნაზიების მასწავლებლობა.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საკასიო საჩივრები: გლეხების, მარაზოვის ბეზსოროდოვის და მაზულნის და სარაშანელის და იაზიჩენისა, რომელთაც სკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. პირველებს კურსკის დროებით სამხედრო სასამართლოს მიერ, მეორებს-ერევნის სამხედრო სასამართლოს-მიერ.

**პეტერბურგი**. ჩერნიგოვის გუბერნიასა, აკმოლინის ოლქის კოკრეტავის მაზრისა და ჩელიაბინსკში კიდევ ერთი წლით დასტოვეს გაძლიერებულ დაცვის წესებით.

**იაროსლავლი** რიბინსკში ხოლერით ავათ გახდა ერთი, რიბინსკის მაზრაშიაც ერთი.

**„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატებაში“ მოთავსებული იქნება: „სახიფათო სიყვარული“, მოთხრობა ვ. ბარნოვისა; სურათები: „სპორტი შვეციაში“, კირიონ ეპისკოპოსი, სპირიდონ ნორაკიძე, პოლიციის დეპარტამენტის ნადირექტორალი ლოპუხინი, სოც.-რევოლიუციონერი ბურცევი და კარიკატურები.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**საიუბილეო კომიტეტი**. აკაკის მთავარმა საიუბილეო კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გაუქმდეს კომიტეტი და მთელი საქმე გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. გამგეობას გადაეცემა აგრეთვე ფონდისათვის შემოსული ფული. ამავე სხდომაზე კომიტეტის წევრმა ბ-ნმა ჰქინაძემ ილაპარაკა ჩამოგდო იოსებ მერკვილაძის მიერ კომიტეტიდან 48 მანეთის გატანის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ბ-ნი მერკვილაძე თავის სურვილით გაჰყვა მგოსანს ბაქოს და ბათუმში. შემდეგ კომიტეტს მოსთხოვა 48 მან. დამეხარჯა ეს ფულიო. კომიტეტმა მისცა. ამ უკანასკნელ სხდომაზე ბ-ნმა ჰქინაძემ განაცხადა, კომიტეტი უსაფუძვლოდ მოიქცა; ვინ იცის, რამდენი კაცი ეახლა მაშინ მგოსანს და ყველასთვის რომ კომიტეტს ფული მიეცა ალარაფერი დარჩებოდაო. კომიტეტმა დაადგინა, უკანვე მოსთხოვოს მერკვილაძეს 48 მან. და ბ-ნ მერკვილაძესაც აღუთქვამს ფულის დაბრუნება.

**სასამართლოში**. „კასპის“ სიტყვით ამა წლის აპრილში ბაქოში ტფ. სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს საქმეს ბაქოს ყოფილ პოლიცმეისტრის კაპიტან დემინსკისა, ყოფილ ბოქაულის მამედბეკოვისას ბოქაულის თანაშემწის სულთანოვისას და სხვა თანამდებობის პირთა, რომელიც სენატორმა კუზმინსკიმ სამსახურიდან გადააყენა. ყველა ამათ ჰბრალდებათ 1905 წელს, სომეხ-თათართა შეტაკების დროს უმოქმედობა.

**სამეურნეო ბანკი**. ტფილისის სამეურნეო ბანკის წლიური მორიგი კრება 8 მარტისათვის დაინიშნა. ჩვეულებრივ საქმეთა განხილვის გარდა, კრებამ უნდა აირჩიოს ბანკის თავმჯდომარე ნაცვლად თავ. ვ. ს. მიქელაძისა, რომელიც პეტერბურგს გადავიდა სასამსახურად. ამ ადგილზე კანდიდატებად ასახელებენ: სამეურნეო ბანკის საბჭოს თავჯდომარეს თავ. ვ. გ. მაჩაბელს. თავ. ნ. ბ ერისთავს' თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის, თავ. ლ. გ. ჯანდიერს და გ. დ. ჟურულს.

**გოგოლის დღესასწაულები**. მარტში შესრულდება ასი წელიწადი რუსის მწერლის გოგოლის დაბადებიდან. ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დაადგინა, დაავალოს ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების გამგეებს, მოაწყონ მოსწავლეთათვის სალიტერატურო დილები 15 მარტს, ხოლო სახელოსნო სკოლისა, ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლისა და ქალაქის სხვა სკოლების უფროს კლასების მოწაფეთათვის გაიმართოს სალიტერატურო საღამო ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში; დაადგინა აგრეთვე, შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალოს 1910 წლისათვის გოგოლის სახელობის სკოლის შენობის აგება; გამოიწეროს გოგოლის ნაწერების იაფი გამოცემანი და დაურიგოს ღარიბ მოწაფეებს, ხოლო 26 აპრილს, გოგოლის გარდაცვალების წლის თავზე, ქალაქის სკოლების მოწაფეთა თანადასწრებით, გადახდ ლ იქმნას პანაშვიდი და გვირგვინით შეამკოს მწერლის ძეგლი ალექსანდრეს ბაღში.

**დუელი**. „კასპი“ სწერს: „11 თებერვალს გაზეთ „კავკაზის“ ახალმა გამგემ აბეგმა დაითხოვა ამ გაზეთის თანამშრომელი ჯაში, ვერაგულად მოკლულ ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავი, რომელსაც ბრალდებოდა ილიას მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. 12 თებერვალს ჯაშმა აბეგი დუელში გაიწვია“.

**დირრის ლექციები**. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) ად. დირრი წაიკითხავს მეორე (უკანასკნელ) ლექციას კავკასიის თემების შესახებ. პირველმა ლექციამ, წაკითხულმა ოთხშაბათს, 11 თებერვალს, მრავალი მსმენელი მიიზიდა.

**წყლის ფასი**. ტფ. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომას ალ. ი. ხატისოვმა აცნობა, რომ ამ დღეებში ნამესტნიკმა სთხოვა უმაღლეს მთავრობას, გაუქმებულ იქმნას სამხედრო შტაბის განკარგულება, რომლითაც კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარი არ უნდა იხდიდეს ქალაქის სასარგებლოდ წყლის ფასს. თურმე შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონია შეიმუშაოს და განიხილოს საკითხი საზოგადოდ წყლის ფასისაგან ჯარის განთავისუფლების შესახებ. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დეპეშით დაავალოს ქალაქის თავს ჩერქეზიშვილს, პეტერბურგში პირადის შუამდგომლობით შეეცადოს აღნიშნულ შტაბის განკარგულების გაუქმებას.

**ლისოვსკის ლექცია**. დღეს, 14 თებერვალს, სახაზინო თეატრში საღამოს 8 საათზე, ლისოვსკი წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას „ჩეხოვი“ (ნაციონალურ იდეის დარღვევა). თავის ლექციის მესამე ნაწილში ლისოვსკი, სხვათა შორის. შეეხება ლ. ანდრეევს და გორკის.

**120 წლის მოხუცი**. როგორც სოფ. სკურდიდან (სამეგრელო) გვატყობინებენ, იქ გარდაცვლილა 120 წლის დედაკაცი კვარცხავასი, რომელსაც სიკვდილამდის არც თვალს დაჰკლებია, და არც ყურს. ამ მოხუცს დარჩენია 60-ზე მეტი შვილები და შვილის-შვილები.

## მოწერილი ამბები

**ოზურგეთი**. 25 იანვარს აქაურ ეტლთა ამხანაგობის კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ წევრების სიმცირის გამო გადიდო 1 თებერვლისათვის. ამ ა) დღესაც ძალიან ცოტა წევრი დაესწრო და ამიტომ 5 თებერვალს მოხდა კრება.

პირველად კრებამ მოისმინა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება. ეს კომისია დაინიშნა ერთი წევრის განცხადების გამო. იგი ეჭვში შედიოდა წინანდელ გამგეობის მოქმედებაზე და ძველ გამგეს ფულის გაფლანგვას აბრალებდა (1903 მანეთი ვითომ უანგარიშოდ დახარჯულიყო). კომისიის დაწვრილებით განუხილავს შესავალ-შემოსავლის წიგნები და ვერავითარი ბოროტება ვერ აღმოუჩენია. ეს მოხსენება მოისმინა კრებამ და კომისიას მადლობა გადაუხადა. შემდეგ კრებამ განიხილა ახალ გამგის დიმიტრი ცეცხლაძის მოქმედება და როდესაც აღმოჩნდა, რომ მას წინანდელზე უკეთ დაუყენებია საქმე, მადლობა გამოუცხადა და ხელმეორედ ერთი წლით აირჩია. ამასთან ჯამაგირიც მოუმატა. თუ ცეცხლაძემ მხნეობას არ მოუკლო, შეიძლება ფეხზედაც წამოაყენოს ერთად-ერთი ამხანაგობა. წინა წლებში საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა, თუმცა შემოსავალი მუდამ კარგი ჰქონდა. ვნახოთ ეხლა, რას იზამს ხელ-მეორედ არჩეული გამგე და როგორ გაამართლებს ნდობას. ცეცხლაძე წინადაც იყო არჩეული, მხოლოდ ექვსი თვით, იმ დროს, როდესაც ამხანაგობა დიდ კრიზის განიცდიდა. საქმე იქამდის-კი მიდიოდა, რომ ამხანაგობა ლიკვიდაციას ახდენდა.

ჩვენი თვით-მმართველობის საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. ხშირად იმართება ხმოსნების სხდომები. ამ თვეში უკვე ოთხი სხდომა მოხდა. ბევრი საინტერესო საკითხი წამოაყენეს, ბევრის განხორციელებასაც შეუდგნენ. ეგებ რამე ეშველოს ჩვენ ქალაქს. 9 თებერვალსაც შესდგა სხდომა ბებურიშვილის თავმჯდომარეობით. გადაწყდა თვით-მმართველობის დროებით ახალ შენობაში გადავიდეს, რადგან ძველი შენობა საშიშად იცვნეს. ძველს სახლს არც ბოძები უვარგა და არც ჭერი. ამავე სხდომაზე გადასწყვიტეს იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, ნება დაერთოს ქალაქს სესხი აიღოს. გადაწყდა სხვა წვრილმანი საქმეებიც. გარეშე ხალხი ბევრი დაესწრო სხდომას.

**მ. ჭ.—ლელი.**

---

**ცხინვალი**. არ მგონია, დღეს რეაქცია ისე სასტიკად სადმე მძვინვარებდეს, როგორც ჩვენს კურთხეულს ცხინვალის კუთხეში; ყველგან თითქმის შესწყდა გადასახლება და დაჭერა, აქ კი კვლავინდებურად მეფობს ეს სისტემა. დაბეზღება-ჯაშუშობა ბევრ ნაძირალა ქვემძრომს ხელობად გადაექცა, არ ინდობენ არავის, პირადის ანგარიშებით აბეზღებენ. ამის წყალობით საქმის გამოურკვევლად აპატიმრებენ ხალხს. ეს ვრცელ და „დასაბუთებულ“ ოქმებით ჰგზავნის სადაც ჯერ არს. ცივ ქვეყნებში გადასახლება კვლავინდებურად არის. იქნება იფიქროს ვინმემ, ცხინვალში აღბად მოძრაობაა, ხალხი ურჩობს, არ ისვენებს და რუმრესიებიც ამითია გასაწყვეტილიო. ... ... საფუძველს მოკლებულია. ... თავის შინაურ ... ყველგან ... და ცხოვრების უშინაარსობა წამოსკუპდა. ბანქო, ლოტო, არდანი და მიყრუებულ ქუჩებში ცოდვილიან შეჯდარვებულ გაცთა და ყმაწვილთა კოჭის თამაშობა, —აი დღევანდელ ცხოვრების სურათი. მოგეხსენებათ ამას პოლიტიკასთან ისე არა აქვს საერთო, როგორც თაგვს სიმწარესთან. და მაშ რითია გამოწვეული დაჭერა-გადასახლება? ნაძირალები აქამდე ქურდობას მისდევდნენ, მინტაჟისტობასაც ხომ არ იუკადრისებდნენ, დღეს კი იგივე ვაჟბატონები, შეუბრალებელ „მედროვეთა“ ქუჩებში გამოწყობილნი, თავისუფლად და აშკარად მოქმედებენ. არც სირცხვილი, არც დარცხვენა, საქმენი მათნი ყველასათვის აშკარა და დაუფარავია. რომ ლითონ სიტყვებში არ ჩამოგვართვას მკითხველმა, დავასახელებთ თუ ამ მოკლე ხანში რამდენი კაცი დააპატიმრეს ამათ დასმენით: სულ ერთი თვის განმავლობაში დააპატიმრეს: გ. მაჩაბელი, ვ. იარაღოვი, ვ. დათაშვილი, ს. ფანჩულიძე, ილ. გელაშვილი. ალექსი კვალიაძე, ლევან აგოშვილი, ე. გულიშვილი და მრავალნი სხვანი. ზოგიერთი ვაჟბატონები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ რამდენიმე კაცს შეუთვალეს, გვერიდეთ, არ დაგვენახოთ, თორემ თქვენი დანახვა და ჩვენი რევოლვერის სროლა ერთი იქნებაო. ერთის სიტყვით, აქეთ მხოლოდ ნაძირალთა ხარხარს და ურცხვ მოქმედებას უყურებ. მერე ვინ გინდა, რომ ამ საზიზღარ ხელობას არ მისდევს. დღეს აღარავინ უკადრისობს ამ „სასიქადულო“ ხელობას. დაბეზღება ამ ნიადაგზედაც ხდება: ვთქვათ ორ კაცს რაიმე უთანხმოება მოუვიდათ ან ვაჭრობის ნიადაგზე, ან სხვა რამეზე, და როგორც დასაბამიდან ჩვეულება იყო, მოსარიგებლად და საქმის გამოსარკვევად შუა კაცებს ირჩევენ. აი ერთ ასეთ შუაკაცად ა. კვალიაძეც იყო და როცა გამოირკვა, ერთი მხარე სტყუოდა, მედიატორმა აშკარად განაცხადა, რომ სტყუის და ზარალიც უნდა მაგან აუნაზღაუროს მეორე მხარესაო. ეს საკმაო იყო, წ. ნ.—სთვის, რომ წასულიყო დაესმინა—კვალიაძემ მუქარის წერილი გამომიგზავნა და ფული მომთხოვაო. ასევე მოიქცა ს.—შვილი. შუაკაცების გადაწყვეტილება, რომ არაფრად ეპიტნავა, წავიდა დაასმინა მედიატორი. ასე და ამრიგად, ვისაც დრო აქვს სარგებლობს კიდეც, სიტყვის შემბრუნებელიც კი არავინა ჰყავს.

**მაჩანჩალა.**

## ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

12 თებერვალს თავად-აზნაურთა კრებაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მიზეზი დეპუტატთა საკრებულოს ახალი მოთხოვნილება იყო, როგორც ვწერდით, ქართულ თეატრის დასამთავრებლად საკრებულომ კიდევ მოითხოვა ფული.

საღამოს ცხრა საათი იყო, რომ მარშლის მოადგილემ თავ. პ. ი. თუმანიშვილმა კრება გახსნა. თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა ახლად გარდაცვალებულთა დიდი მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძისა და გორის ეპისკოპოსის პეტრეს ხსოვნას. შემდეგ თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას მოხსენება ქართული თეატრის შესახებ.

პირველად თავად-აზნაურობამ თეატრის შესაკეთებლად გადასდო 80,000 მან. როდესაც ძველი შენობის კედლები დაანგრიეს, საამშენებლო კომისიამ და ტეხნიკოსებმა გამოარკვიეს, რომ გადადებული ფული არ ეყოფოდა. აპრილში მოხდა ხელახალი კრება და თავად-აზნაურობამ კიდევ გადასდო ფული, სულ 222,000 მან. ყველა დარწმუნებული იყო, რომ აშენებულნი ამ ფულს იკმარებდნენ, რადგან ტეხნიკოსები არწმუნებდნენ ყველას, მეტი არ დაგვჭირდებაო. 12 თებერვლის სხდომაზე თავმჯდომარის მოხსენებამ ბევრი გააოცა. გამოირკვა, რომ კიდევ ყოფილა საჭირო ფულის გადადება. თავმჯდომარეს მოხსენებით, ამა 1909 წლის

1 თებერვლამდე სულ დახარჯულა თეატრის საზამთრო განყოფილების მოსაწყობად 289,100 მან. ამ ფულიდან უმეტესი ნაწილი გასტუმრებული, მხოლოდ ვალად დარჩენილა 40,000 მან., რომელიც ახლო მომავალში უნდა იქნას გადახდილი. გარდა ამისა საჭიროა კიდევ 32,422 მან. თეატრის საზაფხულო შენობისა და საზაფხულო რესტორანის მოსაწყობად. დეპუტატთა საკრებულოს 32,429 მანეთის გადადება აუცილებლად მიაჩნია, რადგან ქ-ნ იავორსკისთან დადებულ ხელშეკრულების ძალით საზაფხულო თეატრის მოიჯარადრეს 1 მაისამდე უნდა ჩაჰბარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავადაზნაურობამ უნდა გადაუხადოს ჯარიმა 5000 მან. და უკანვე დაუბრუნოს უკვე აღებული იჯარის ფული. საზაფხულო განყოფილების დასრულება იმითია სასურველი, განაგრძო მომხსენებელმა, რომ საზამთრო თეატრიდან ვიღებთ 10,000 მან. იჯარას, საზაფხულოდანაც მივიღებთ 10,000 მანეთს. თუ საზაფხულო განყოფილება არ დავასრულეთ და ამისათვის საჭირო 32,429 მანეთს არ გადავდებთ, მაშინ დავკარგავთ ყოველწლიურ 10,000 მან. ამას გარდა უნდა გადავიხადოთ ჯარიმაო.

გადადებულზე მეტი საკრებულოს დაუხარჯავს 67,100 მან. (თავადაზნაურთა კრების დადგენილებით, გადადებული იყო 222,000 მან., ხოლო საკრებულოს კრებას დაუკითხავად დაუხარჯავს 289,100 მან.). ეს ფული ჩვენის პასუხის მგებლობით დავხარჯეთ. ეს საქმე კრების დაუკითხავად ჩავიდინეთ იმიტომ, რომ საქმე გადადებას არ ითხოვდაო. დამატებით ფულის საჭიროება გამოირკვა 1908 წლის აგვისტოში, სწორედ იმ დროს, როდესაც თეატრის შენობის დასამთავრებლად გაცხარებული მუშაობა იყო და შეჩერება არ შეიძლებოდა მოიჯარადრესთან ხელშეკრულების გამო; მეორე კრების მოწვევაც არ მოხერხდებოდა, რადგან ზაფხულობით ქალაქში თავადაზნაურთაგანი არავინ არისო.

დასასრულ თავმჯდომარემ კრებას წინადადება მისცა, არჩეულ იქმნას ორი კომისია: სატეხნიკო, რომელიც შეამოწმებს გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას თეატრის საზაფხულო განყოფილებისას და თავის მოსაზრებას ერთი კვირის განმავლობაში წარმოუდგენს კრებას, და საფინანსო, რომელმაც უნდა გამონახოს ფულის წყარო.

თავ. დ. ჩუბინიშვილისა, სვიმონოვისა და სხვათა თხოვნით, თავმჯდომარემ გააცნო კრებას შინაარსი ხელშეკრულებისა მოიჯარადრესთან, აგრეთვე დადგენილება საზოგადო კრებისა 222,000 მან. გადადების შესახებ და სხვა. შემდეგ გაიმართა ბაასი.

ყარანგოზიშვილი გაოცებული შეეკითხა თავმჯდომარეს: რა უფლება გქონდათ ჩვენდა დაუკითხავად ხელშეკრულება დაგედოთ იავორსკის ქალთან, როცა პასუხის-მგებელნი ჩვენა ვართო. ჩემის აზრით, ეს უკანონო აქტია და არც საპასუხოა კრებისათვისაო. ორატორი არ შეეხო იმას, თუ რად დაიხარჯა ამოდენა ფული და მოითხოვა, კრებამ უსათუოდ სარევიზიო კომისია აირჩიოს და მას დაავალოს შემოწმება მთელი საქმის ვითარებისა. გარდა ამისა, უფლება არა ჰქონდათ ჩვენს წარმომადგენლებს, ჩვენს დაუკითხავად მეტი ფული დაეხარჯათო.

ქარვასლის გამგემ თავ. ვაჩნაძემ კარგა ხანს ილაპარაკა და განაცხადა, რომ სარევიზიო კომისიის წინაამდეგ არაფრის თქმა არ შეიძლებაო. პირიქით სასურველია ასეთი კომისია. ვიცი, რომ 300,000 მანეთი ნავარაუდევია მთელ შენობაზე, სხვა ფულისა-კი არა ვიცი-რა. საზოგადოდ, არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ტეხნიკოსის ტერ-სარქისოვის მოქმედება. გამოუცდელობით თუ სხვა მიზეზით გარკვეულად ვერ მოქმედობდა. მაგ. თეატრის შიგნით მოსაწყობად ჯერ მოითხოვა 30,000 მან., მერე 35,000 მან., მერე 40,000 მან. მეც რამდენჯერმე აუხირდი, მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ ყველანი ტეხნიკოსების ხელში ჩავცვივდით. რაც შეეხება ფულის დახარჯვას, ყველაფერი სინამდვილით არის დახარჯული და გასამართლებელი საბუთებიც გვაქვსო.

ალ. გ. ჯაბადარი ციფრებით ხელში კრებას უმტკიცებდა, რამ გამოიწვია მეტის ფულის დახარჯვა. ბევრი რამე იყო ხარჯთ-აღრიცხვაში გამოტოვებულიო. მაგ., დეკორაციებისათვის არ იყო ნავარაუდევი ფული და ჩვენ-კი 13,000 მან. დავხარჯეთ; სცენის ფერად განათებისთვის—12,000 მანეთი, მრავალი წვრილმანი—8,500 მან. ტეხნიკოსის მეთვალყურეობისთვის — 2000 მ. და სხვა. ნავარაუდევი არ იყო აგრეთვე საზაფხულო განყოფილების აშენებაც. დაახლოვებით და ნაჩქარევის აღრიცხვით ჩავდეს მხოლოდ 17,000 მანეთი, ეხლა კი დაწვრილებით გამოანგარიშებამ მოითხოვა 32,429 მანეთიო.

ღამით 12 საათამდე გასტანა. მ. გ. მაჩაბელმა და თავ. გ. ამირეჯიბმა დიდხანს ილაპარაკეს. მ. მაჩაბელმა კრებას უსაყვედურა: ჩვენი ბრალია ამოდენა ფულის უთავბოლოდ ხარჯვა და არა ჩვენის წარმომადგენლებისაო. თავშივე არ ავწონ-დავწონეთ ყოველივე წვრილმანი და ეხლა ვის უნდა უსაყვედუროთ თუ არა ჩვენსავე თავსო. არ არის კარგი, რომ მრავალი დიდი საკითხები თეატრისა და გიმნაზიის შენობებს შევსწირეთო. რევიზიას რა მნიშვნელობა ექნება! ყველაფრის საბუთი იქნება, რა დაიხარჯა და რა არაო.

კრებამ თანახმად დეპუტატთა და მარშალთა შეერთებულ სხდომის წინადადებისა აირჩია სატეხნიკო და საფინანსო კომისიები. სატეხნიკო კომისიაში მოჰყვნენ: გ. ზ. ქურდიანი, ბ-ნ მამრაძე, კლდიაშვილი, გ. ვაჩნაძე, ისარლოვი და სარაჯიშვილი; ხოლო საფინანსო კომისიაში: ი. ს. ჯაბადარი, ი. აბხაზი, გ. მაჩაბელი, ფხვლენიშვილი და ვ. გ. მაჩაბელი. ამ კომისიებმა თავიანთი მოსაზრებანი კრებას უნდა წარუდგინონ 19 თებერვალს.

დასასრულ ვ. მაჩაბელმა განაცხადა: როგორც მოგეხსენებათ, ქართველებს უბედურება უბედურებაზე გვატყდება. იმდენი-კი აღარ არის ჩვენის საზოგადო ცხოვრების გასაუმჯობესებლად რაიმე რეფორმების შემოღებისა. პირიქით დაიწყო დევნა ქართველ სამღვდელოებისა. საუკეთესო წარმომადგენელნი ამ წოდებისა სამსახურიდან გადააყენეს და მივარდნილ მონასტერებში გაგზავნეს. ვერ გაგვიგია და აგვიხსნია, რად სჩადიან ამას. იციან რამე თუ არა ჩვენმა წარმომადგენლებმა ამ სამწუხარო მოვლენისა? თუ იციან, მიზეზი შეგვატყობინონ, თუ არა და მთავრობას შეეკითხნენ, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

თავმჯდომარემ თავ. პ. ი. თუმანიშვილმა უპასუხა, რომ ოფიციალურად ამაზე ლაპარაკი არა მქონია მთავრობასთან და თუ კრება დამავალებს, შევეკითხებიო.

კრებამ დაადგინა შეეკითხოს მთავრობას სამღვდელოების დევნის მიზეზის შესახებ.

## საინგილოს ბუნება.

ხაზოგადო მიმოხილვა.—ბუნების სიმდიდრე.—გზები და ხეივნები.—სამღვარი მინდვრები.—მინდვრების ცეცხლის წაკიდება.—მაყვალი.—ტყეები მთაში და ბარად.—ნადირებისა და გარეულ ფრინველის სიმრავლე.—ტყის ხეხილი და ჭალები.—წყლები, მათი სარგებლობა და ზარალი.—ჩეილაღები.—დაღესტანში მიმავალი გზები.—ზაფხულის სიცხეები, მოშხამული ჰაერი და კოღოები.—შემოდგომის წვიმები.—ჭაობები.

კეკლუცი, მდიდარი და თვალწარმტაცი ბუნება საინგილოსი. მთის კალთებიდან დაქანებულს მთლად ქაფად ქცეულს მდინარეებს, ატეხილს ჭალებს კაკლისას, თხილისას, წაბლისას და ლელვისას, რომელ შორისაც ტურფად გამოიცქირება წითელ კრამიტით გადახურული მთლად მწვანეში ჩაფლული სოფლები, ზღაპრულ წალკოტად გადაუქცევია აქაურობა. ამას დაუმატეთ სახტად ამართული უღელტეხილი კავკასიონისა თავის ულრან ტყეებით, რომელთ ზევიდანაც თოვლით განსპეტაკებულ მწვერვალნი მედიდურად გადმოსცქერიან არე-მარეს, ნელად მოღუღუნე, ველსავით დახლაკნული ალაზანი თავის ას-წლოვან უზარმაზარ ხეებით და თვალ-წინ წარმოგიდგებათ საინგილო მთელის თავისს სიტურფე-სიდიადით.

ჰავა აქ მშვენიერია და ხელ-შემწყობი, ნიადაგი ნაყოფიერი და სველი, ამიტომ ყოველი ნათესი ზღვად სკდება და უხვს მოსავალს იძლევა. გადაჰხედეთ ბრინჯის თვალ-უწვდენელს მინდვრებს; თავთუხის ნაზად თავ-დახრილ ყანებს, რომელიც აქ არა-ჩვეულებრივის სიმაღლისა იზრდება და ზღვა მოსავალი იცის; ლეღვის, ატამის, ბროწეულის, ნუშის, შვინდის და სხვა ხეებს, რომელნიც კაკლის ტოლა ხეებად გადაქცეულან; ბამბის პატარა მცენარეს, რომელიც ნაზ ბუნებასა და მსუქან ნიადაგს საოცრად გაუზრდევიათ და გაუხდია; გზებს, რომელნიც ერთის წლის განმავლობაში რამდენიმე საჟენის სიმაღლე გაზდილან და დარწმუნდებით, რომ უფალს აქ მართლა უხვად დაუბერტყნია თავისი მადლიანი კალთა.

მაგრამ ყველაზედ მიმზიდველი აქაური გზებია. ეს ზღაპრული, დაუსრულებელი მწყობრი ხეივანი, რომლის მზგავსიც არა მგონია იყოს სადმე კიდევ რუსეთში. მეტად საამურია ამ საოცნებო ხეივნებში მოგზაურობა, გაზაფხულზედ მაინც, როდესაც ახლად გამოფოთქილ კაკლის მძლავრი სუნი ხარბად გიპყრობთ და გატყვევებთ, ან კიდევ ზაფხულის ცხელს დღეებში, როდესაც ირგვლივ სიცხის ბული სდგას, მაგრამ თქვენ კი ბარდილოში არხეინად მოგზაურობთ. თქვენს ოცნებას ფრთას ასხავს ეს ფანტასტიური გზა და ვერ კი გამძღარხართ, ვერ კი დამტკბარხართ სავსებით მისის ცქერით, ისე ძალუმად გიზიდავთ და გხიბლავთ მისი სანახაობა. კაკლის უშველებელი ხეები მწყობრად არის ჩარიგებული განგებ გზის ორივე პირას, არა თუ მარტო უმთავრესს გზაზედ, რომელიც შექიდან სიღნაღში მიდის, არამედ ყოველ მცირე გზაზედაც, რომელიც ერთის სოფლიდან მეორეში მიდის. ეს გზა და კაკლები პირველად წარსულ საუკუნის მეორმოცე წლებში ჩაუყრევინებია ოლქის უფროსს ვინმე შოლკოვნიკოვს. მას შემდეგ ხალხი შესჩვევნია, უნახავს რა მათი სარგებლობა, და საცა კი გახმება და გაფუჭდება რომელიმე ხე, მაშინვე ახალსა რგავს.

თვალი გადაავლეთ ახლა თვალ-უწვდენელს, დაუსრულებელს საძოვრებს. ალარაფერს ვიტყვით ალიზლაურა და შირაქის საძოვრებზედ, მათს გარდა საინგილოს დასავლეთს ნაწილში გალაღებულ ლეკების სოფლებს ყველას აქვს საკუთარი საძოვარი ადგილები. კატეხ-მაწეხს, ჭარბელაქანს და სხვათ უზარმაზარი საძოვრები აქვთ, სადაც ზამთარ-ზაფხულ თავისუფლად იალაღზედ არის გაშვებული სხვილფეხი საქონელი. თივის სიუხვე, საძოვარ ადგილების სიმრავლე საშუალებას აძლევს ამისთანა ადგილებში მრავლად საქონლის მოშენებისას და აკი აქაური ლეკებიც ფართოდ სარგებლობენ ამითი. აშენებენ უმთავრესად კამეჩებს რასაც აქ ყარამალს ეძახიან, და რომლებსაც კარგი ბაზარი აქვს ტფილისში და სხვა მახლობელს ადგილებში.

ნაყოფიერ ნიადაგს საუცხოვო ბალახი მოჰყავს, რომელიც ისე მაღალი და უხვი იზრდება, რომ გაზაფხულზედ კაცი შიგ იმალება. ამითი აიხსნება, რომ საქონელი ვერ ასწრობს მის შეჭმას, მთიბველი ვერ ასდის თიბვას და ამიტომ მრავალი გამხმარი გამოუყენებელი რჩება და რადგან საჭიროა, რომ ძველმა ბალახმა ადგილი ახალს ნორჩს დაუთმოს, ამიტომ მცხოვრებნი იძულებულნი არიან ცეცხლით გაანადგურონ ხოლმე გამხმარი ბალახი.

აბა გაიხედეთ პირველ გაზაფხულზედ, როცა ახალმა მოლმა ის-ის არის თავი უნდა ამოჰყოს; გახედეთ ირგვლივ მინდორს, როცა დღეღამეს უნდა გაეფაროს და დაინახავთ უშველებელ ცეცხლის ალებს. პირველს შეხედვაზედ კაცს ეგონება, ცეცხლი ან სახლებს ან პურის ნამჯებს უკიდიაო. ცეცხლი გამხმარ ბალახს უკიდია, ან კიდევ საშინლად გამრავლებული მოცლის ბუჩქებს. ალიაზლობა და შირაქის მინდვრები ცეცხლის ალში ეხვევიან. საკვირველ სანახაობას წარმოადგენს ღამ-ღამობით ეს ცეცხლის ალები, რომელნიც შორიდგან ხან კარგად განათებულ ქალაქად მოგეჩვენებიან, ხან კიდევ ცეცხლის გაფთრებულ-აზვირთებულ ზღვად. ცეცხლი ერთს ადგილს კი არ აბრიალებს და ამოდის, არამედ რამდენსამე ადგილს მწყობრისად მისდევს და თანაბრად ანადგურებს ბალახს. გადადის ერთის ადგილიდგან მეორეზედ, ერთგან ჩაჰქრება, უცებ სხვაგან ამოვარდება და წითელს ზოლს ავლებს არე-მარეს. სდგეხართ, უცქერით ამ სურათს, გიტაცებთ მისი სანახაობა, მაგრამ იმავე დროს შიში გეჭრებათ გულში: ვინ იცის, იქნებ ერთ დროს გაძლიერდეს ეს ცეცხლი, მოედოს მთელს კუთხეს და სხვასთან ერთად თქვენც ჩაგნთქათ.

ბალახის დღე ადგება ხოლმე ხშირად მაყვალსაც. საინგილო მაყვლის ქვეყანა-სამშობლოა. ყველგან, სადაც კი გაიხედავთ მაყვლის ბუჩქებია, რომელთაც ხშირად დიდი მანძილი უჭირავთ. ამასთან საოცრად დიდი იზდება აქ მაყვალი. ხშირათ შეჰხვდებით ორს საჟენზედ უფრო მაღალს, რომელიც კაკლის სიმსხო მაყვალს ისხავს. გზების პირებზე, მთაში, ბარად, წყლის ბეგობებზედ მაყვალი და მაყვალი, გაუთავებელი და დაუსრულებელი. მაყვალს ვერსად ვერ მოაშორებთ თვალს, ყველგან წინ გეჩხირებათ. მაყვლისავე ლობეებში აქვს ვენახებს, ბაღებს, ბრინჯის ნათესებს, მამულებს და სხ. საინგილოში ვერსად ვერ ნახავთ წნელისაგან დაწნულს ხელოვნურს ღობეებს. ყველგან ცოხალი ღობეებია მაყვლისა მიუვალ თავის გესლიანის ეკლებით, მაყვალი ყოველი ხელოვნურს ღობესა სჯობია და აკი ამიტომაც ინგილო. ხარბათა სარგებლობს მისით. ღობეებს გარდა, მაყვალს სხვა გვარად აც იყენებს ინგილო: მაყვლისაგან აკეთებს მშვენიერს საზაფხულო შექამანდს, რომელსაც ისრიმს ეძახიან; მაყვლისავე წვენს უსხავს ღვინოში, როცა ბუნება გაძუნწდება და საკმარისს ღვინოს არ მისცემს; მაყვალსავე ხმარობს ზოგიერთ ავადმყოფობის მოსარჩენად. მეტად კარგი სანახავია მაყვლის ბუჩქები მდინარეებისა და არხების ბეგრებზედ, როცა მაყვალი დამწიფებულია, ყურძნის მტევანსავით ჰკიდია, წყლის ლაჟვარდ პირს ელამუნება და მზის ცელქ სხივებზე ზურმუხტივით ლაპლაპებს. უნდა ნახოთ, ამ დროს დიდი და პატარა როგორ მოედება ხოლმე წყლის ნაპირებს. მაყვლის მშვენიერ ტოტების კრეფაში ჟრიამული გაისმის.

მაგრამ, ეჰ! რა ულმობელია კაცი, ხშირად მაყვალსაც ისევე დაუზოგველად უკიდებს ხოლმე ცეცხლს, როგორც ზემოდ მოხსენებულს გამხმარ ბალახს. საქმე იმაშია, რომ მაყვალი თუ ერთ გაჩნდა სადმე, საშინელის სისწრაფითა მრავლდება თავისთავად და ზოგჯერ ისე იშლება, რომ კაცი იძულებულია ცეცხლით ამოაგდოს. გარდა ამისა მაყვლის ამოგდება იმისთვის არის საჭირო, რომ ადგილი გაანთავისუფლონ, გაასუფთაონ სახნავ-სათესად.

ყოველისავე სიკეთესთან საინგილო მდიდარია ტყითაცა. მთის ულრანი კალთები, მათში შეჭედილი ხეობები ხშირად ტყით არის დაბურული. თუმცა ბევრი ტყე დიდის ღირსებისა არ არის, მაგრამ. ვიწრო ხეობები, სადაც კაცის ხელი იშვიათად ხვდება, მშვენიერი ტყეებია დღემდის დაცული, რომელნიც საუკეთესო ხე-ტყის მასალას წარმოადგენენ. გადახრუკულს, ტიტველა მთებს აქ ვერა ჰნახავთ, ყველგან ტყე, ტყე გაუთავებელი და დაუსრულებელი. თითქმის მცირედის მეტ-ნაკლებობით ესევე ითქმის ბარზედაც. აბა რომელიმე მთის წვეროზედ ადით და გადაჰხედეთ თქვენ წინ თაიგულისავით გადაშლილს საინგილოს მიდამოს, თუ ერთ გაუთავებელ ბაღად ან ტყედ არ გეჩვენებათ მთელი ბარი. დიახ ბარადაც ბევრია ტყე. თითქმის ყოველ სოფელს ცალკე აქვს ტყე, რომელიც მისს საკუთრებას შეადგენს და მხოლოდ ალიაბათის საბოქაულოა ტყით ღარიბი. სოფლელნი ტყეებს კარგად ინახავენ, ურიგოდ და უზომოდ არა ჰკაფავენ და ისე აქვთ თადარიგი დაჭერილი, რომ ტყე თანდათანობით იჩეხება, რაიც უტყუარი საბუთია იმისი, რომ აქ ტყე არასდროს არ გაჰქრება და ამოვარდება.

ბარის ტყე სულ სხვაა მთის ტყესთან შედარებით. ბარის ტყეები უმთავრესად ნოტიო ადგილებშია, ამიტომ ნაყოფიერ ნიადაგთან ერთად, მუდმივი სინოტივე მცენარეს ერთიორად უფრო აგიჟებს. ის, რაც მთაში ერთი ბეწვა მცენარეა-ბუჩქია, აქ უშველებელ ხედ გადაქცეულა. ამ გვარ ზომის მუხებს, ცაცხვებს, ვერხვებს იშვიათად შეჰხვდება ადამიანი. ტყე ბარად ხშირია და გაუვალი; მიზეზი ამისი კრიკინაა, სურო, აკაცია და სვია. ყველა ესენი ზედ ასულან ხეებზედ, უმეტესად კი სურო, ჩამოჰკიდებიან, შეუბოჭავთ და მთლად დაუბურავთ. საყვარელია სურო: ცივს ზამთარში კი, როცა ყველა მცენარეს მწვანე ხავერდი გასცვივენია, ის ბუნების ულმობელ ხელს გამოჰპარვია და ასე მწვანედ აკონწილია გაძვალ-ტყავებულ, სიცივისაგან გაცრცვნილს ხეებს. რა მშვენიერი რამ არის გრეხილებივით დახუნძლული ხეები, კრიკინა, სურო, ეკალი, სვია, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო კარგად ჩაეხუტ-ჩაეკონებით ხეებსაო.

ზ. ედილი.

(დასასრული იქნება)


## განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიადებს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—9)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ... ლი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

ნუ რეკუთით ქალებს!.. ანუ „კავშირის მტერნი"

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის ფსიხოლოგია.—გონს მოდი.

ფასი 65 კაპ.

„დროების" ხელის მომწერთ დაეთმობა 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 81, ф. Каминской.

თესლეულობის

მაღაზია კიწმარაშვილის და ამხ.-სა ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, უპრავის ქვეშ.

მიღებულია საუკეთესო ჯიშის იონჯის, სამყურის, კოინდრების, ბეოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—10)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ.—1—25)

ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

„ინგლისური ტრიკო"—მეტად მკვიდრო, პრაქტ. და კოხტა შალის მატერია, რბილი შალის ქსოვილი მოხდენილ და ღარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზღმარტლის-ხილის ფერი, ენდროს-ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს შესანიშნავ და ლამაზ სახეს. სეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა"-ს სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრა" ს სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „ბოსფორი" 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა"—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი" ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისათვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

„ტიროლის ტილო"—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ. ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას-დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ხოლო ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უეჭველად ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь, N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენებზე. (7—6.—3)

60 მანეთიანი 30 მანეთად





ქ. ქუთაისში

ა. რ. თაბაგრის მაღაზიაში

თეატრის გვერდით

მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.



ფასები შესამჩნევად დაკლებულია

ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.

ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.

შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.



60 მანეთიანი 30 მანეთად

(100—6—16)


სტამბა „სინათ ლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.